ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟიმგერი

1927 სახელგამი № 23

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდა აკეთოს ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულმა.

უკვე ერთ წელიწადზე მეტია, რაც გამოდის ჟურნალი „პიონერი". როგორც ვიცით, ამ ჟურნალის უშუალო დანიშნულებაა ემსახუროს და დახმარება გაუწიოს ბავშთა და პიონერთა მასებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღეს „პიონერის" მხოლოდ მეტად უმნიშვნელო რაოდენობა საღდება. დასაშვებია თუ არა ასეთი მდგომარეობა? რასაკვირველია, არა. ამისთვის საჭიროა გაძლიერებულ იქნას ბავშების მონაწილეობა ბეჭდვითი სიტყვის საქმეში. ამისათვის **საჭიროა თითოეულ კოლექტივში და თითოეულ სკოლაში იყოს გამოყოფილი ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებული.**

ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებული არ ნიშნავს კოლექტივის საბჭოს ან წინამძღოლს, — მას ირჩევენ კოლექტივის ან სკოლის მოწაფეთა საერთო კრებაზე.

თავისი მუშაობის შესახებ ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებული ამ უკანასკნელთა წინაშე აკეთებს მოხსენებას. ეს, რასაკვირველია, სრულიად არ უარყოფს იმას, რომ რწმუნებულის ყოველდღიურ მუშაობას ხელმძღვანელობას უწევდეს წინამძღოლი, კოლექტივის საბჭო და მოწკომი სკოლაში. კარგია, რომ რწმუნებულთა გადარჩევა ხდებოდეს ყოველ 4-5 თვეში, რომ ამით უფრო მეტი ბავშვი ჩავაბათ ბეჭდვითი სიტყვის საქმეში.

რა ევალება ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულს?

რწმუნებული უკავშირდება ჟურნალის რედაქციას. მან კარგად უნდა იცოდეს გამოწერის წესები: რა ღირს ჟურნალი, რამდენი ხნით შეიძლება მისი გამოწერა და სხვ. ის თვალყურს უნდა ადევნებდეს ახალი საბავშო წიგნების გამოკემას, უნდა კითხულობდეს მათ შეფასებას ჟურნალ-გაზეთებში.

რწმუნებული ბავშებში აგროვებს ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ უყურებენ ეს უკანასკნელნი თავის ჟურნალს და წიგნებს. ეს ცნობები მან უნდა გაუგზავნოს რედაქციას; გაიგებს, თუ რისი წაკითხვა უფრო უნდათ ბავშებს, ე. ი. რა თემები აინტერესებთ მათ საბავშო ლიტერატურის დარგიდან, მოაწყობს კოლექტივთან, ფორპოსტთან და მოწკომთან ერთად ჟურნალ-გაზეთების გამართლებას.

რწმუნებული არის მთელი ბეჭდვითი საქმის რწმუნებული კოლექტივში, აქტიურ მონაწილეობას იღებს თავისი პრესის სასარგებლოდ მოწყობილ საღამოში, პრესის კუთხის მოწყობაში, კედლის გაზეთის გამოშვებაში ამისთვის ის აუცილებლად შედის ბავშკორთა წრეში და მასთან ერთად ატარებს ყოველგვარ სამუშაოს.

რწმუნებული თვალყურს ადევნებს სათანადო გამოცემათა თავის დროზე მიღებას ხელმომწერთა მიერ. იმ შემთხვევაში, თუ უწესრიგოდ, დაგვიანებით მოსდის რომელიმე ხელმომწერს ჟურნალი, ამის შესახებ შეატყობინებს რედაქციას.

რწმუნებული უკავშირდება საბავშო ბიბლიოთეკას, ეხმარება მას ახალი და კარგი წიგნებით შევსებაში, თვალყურს ადევნებს ჟურნალების და გაზეთების გამოწერას.

აი ეს უმთავრესი ამოცანები, რომელიც დგას ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულთა წინაშე.

მხოლოდ მათი საშუალებით შეეძლებთ ჩვენ იმის განხორციელებას, რასაც ისახავს მიზნად „პიონერი" კოლექტივის ცხოვრებაში.

შინაარსი:

1.	თავგანწირული მეზღვაური — **ს. კასრაძის**	2
2.	პატარა ტელეგრაფისტი — **თ. მანის**	7
3.	ხუთი მდინარის სათავეში — **ნ. კეცხოველის.**	11
4.	სოფლის პიონერთა მუშაობა ოჯახში — **ბ. ს.**	15
5.	ჩვენი ძმები მსოფლიოში.	17
6.	პიონერების სამხედრო ლაშქრობა ხუგდიდში — **გ. კედიასი**	19
7.	პიონერ-ორგანიზაციის შემოწმება	20
8.	შევისწავლოთ კარგი სოლა — **შ. ვასაძის**	21
9.	ცნობები რადიოს შესახებ	23
10.	რა უნდა აკეთოს ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულმა.	კანზე.
11.	თამაშობანი.	

329.153(05)
3-47
მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზადმყოფელი
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ეროვნული
ტფილისი
ბიბლიოთეკა

პიონერი

1927
15 დეკემბერი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური მიწოს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრთან) ყოველთვიური ბავშვებისათვის

წელიწადი II
№ 23



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲘ

ᲛᲔᲗᲔᲕᲖᲔ

ჯერ მზე არ ამოსულიყო, და ზღვაზე ნისლი იდგა. ნისლში მოჩანდა ვეებერთელა და თვალუწვდენელი, ქვით ამოყვანილი ნაპირი, სადაც იდგა გემები და სანდლები [1]).

ნაპირზე არავინ დადიოდა.

მხოლოდ თორმეტიოდე წლის ბავში გამოჩნდა შორიდან და ნაპირისაკენ გაემართა.

ბავშს უთუოდ ციოდა, ფეხშიშველა იყო, ხელში რკალბადე ეჭირა, ტანზე მეზღვაურის პერანგი და ძველი შარვალი ეცვა.

ბავში ნაპირზე მივიდა. დაჯდა. ჯიბიდან სასროლი ანკესი ამოიღო და ბაწარს ფრთხილად დაუწყო გახსნა. მერე ანკესებზე ჭია წამოაგო და ზღვაში გადაისროლა.

ბავში გულისყურით მისჩერებოდა თავის ანკესს და სალოკ თითს ხშირად გაჰკრავდა ბაწარს.

პატარა მეთევზე კარგად გრძნობდა თითით, თუ როგორ ეტანებოდენ თევზები ანკესზე დასმულ ჭიას; ეტანებოდენ, მაგრამ ჯერ არცერთი არ წამოგებულიყო.

ბავში იცდიდა.

უეცრად ბაწარი დაიზიდა და ბავშს გული აუთრთოლდა; მან გამალებით იწყო ანკესის ამოღება, მაგრამ თევზი დიდი იყო და წინააღმდეგობას უწევდა. ბოლოს ზღვის ზედაპირზე გამოჩნდა ფრთხიალა თევზი. მეთევზემ რკალბადე მიაშველა და თევზი ნაპირზე ამოიტანა.

პატარა მეთევზემ ანკესი ისევ ზღვაში გადაისროლა, დაჭერილ თევზს კი ლაყუჩებში გრძელი ბაწარი გაუყარა და ზღვაში ჩაუშვა, რომ კიდევ ეცოცხლა.

ასე თევზაობდა პატარა ბავში დიდხანს.

იჯდა და თევზაობდა.

ამ ხნის განმავლობაში მზეც ამოვიდა; მცირედი სიოც ამოიჭრა, ერთბაშად დათბა, და ნისლი გაიკრიფა. ზღვა ოდნავ აღელვდა. პატარა ტალღები სხვადასხვა ფერად აელვარდენ და ლაპლაპით დაიძრენ ნაპირისაკენ.

გემებზე და სანდლებზე ხალხი ამოძრავდა.

სადღაც შორიდან ქარხნის საყვირი მოისმა და ნავსადგურში გამოჩნდენ მუშები. ისინი სამუშაოდ მიიჩქაროდენ.

ბავშმა მოწყენით გახედა მიმავალი მუშებს, ანკესი შეახვია და ზღვიდან თევზები ამოიღო. ბევრი დაეჭირა.

თოკზე აცმული დიდი და პატარა თევზები დაუცხრომლად ფართხალობდენ. ბავშმა თოკი მაღლა ასწია და ამაყად გაიღიმა. შემდეგ დასტოვა ნაპირი.

ბავში ნელა მიდიოდა.

მან არ იცოდა კარგად—სად წასულიყო. მართალია, თევზები დაიჭირა, მაგრამ მას სახლკარი ხომ არ ჰქონდა, დედა ან მამა რომ ესიამოვნებია?

მაშ რა ჰქნას?

მეთევზემ ნაბიჯს აუჩქარა; მან სწრაფად გაიარა ვრცელი ნაპირი; ნაპირზე მას ხვდებოდენ მეზღვაურები: ისინი ყველანი იცნობენ მას; სალამს აძლევდენ და ეკითხებოდენ:

— ჰეი, შენ, როდის დაიჭირე ამდენი?—

— მაშინ დავიჭირე, ბიძია, როცა შენ შუა ძილში იყავი,—ნიშნის მოგებით უპასუხებდა ბავში და ისევ მიიჩქაროდა.

ბავშის ასეთი სიტყვა მეზღვაურებს აცინებდა, ხოლო ის, ვინც პასუხი მიიღო, წვერებს იქექდა.

ᲡᲔᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲐᲤᲝᲜᲘ.

ერთგან ნაპირზე დიდი ეზო შემოელობათ.

ეზოში იდგა მრავალი შენობა: საწყობები, სახელოსნოები და სამჭედლოები, სადაც დილიდან საღამომდე წარმოებდა მუშაობა.

მუშაობდენ დურგლები და ხუროები:

ზეინკლები და მჭედლები დაუღალავად სცემდენ ურიოებს გრდემლზე, სჭედდენ რკინას, და ლითონის ზრიალი გაისმოდა შორს, შორს.

აგერ ენთო კოცონი და დუღდა ფისი; ეგერ ზღვიდან ნაპირზე უზარმაზარი მანქანებით აჰქონდათ სანდლები და კატარღები. [2])

[1]) სანდალი—იალქნით მავალი ნავი.

[2]) კატარღა—მოვიწრო გემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავში ნაპირზე მივიდა.

აჰქონდათ, რადგან დაძველებულიყვნენ, მიმოსვლისათვის არ ვარგოდენ და საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებდენ.

ნაპირზე ატანილი სანდლები და კატარღები იმდენად დიდრონი იყვნენ, რომ წვერულვაშიანი მამაკაცები მათთან შედარებით ბალღებად მოჩანდენ.

და, აი, ორი წვერულვაშიანი მამაკაცი ფუსფუსობდა ატანილი სანდლის ირგვლივ. ერთი მათგანი იყო მოხუცი, მეორე ჭარმაგი.

მოხუცი სანდალს თეგავდა, ჭარმაგი ფისს ადუღებდა; მოხუცმა უთხრა ჭარმაგს:

— დატრიალდი, აგაფონ, თუ კაცი ხარ, ფისი მომაშველე და საქმე გათავებული იქნება. აგაფონს არ ესმოდა. ან რას გაიგონებდა ასეთ ხმაურში? ჯერ როცა მოხუცი ეუბნებოდა მას, თვით მოხუცს არ ესმოდა თავისი სიტყვები. მოხუცმა ხელმეორედ დაყვირა:

— ჰეი, აგაფონ! —

ჭარმაგმა გახედა მოხუცს და ჰკითხა:

— რა გინდა, სეილა? —

— რა მინდა და ფისი მომაშველე, აგაფონ, ფისი! —

აგაფონმა ქვაბიდან მდუღარე ფისი ამოიღო.

— ბიძია სეილას და აგაფონს გაუმარჯოს! — გაისმა ამ დროს წკრიალა ხმა და სანდალთან ჩვენი პატარა მეთევზე გამოჩნდა.

მას ბაწარზე აცმული თევზები ხელში ეჭირა და სახე გაოფლიანებული ჰქონდა.

— აა, გაგიმარჯოს, — უპასუხა სალამზე ბავშს სეილამ, მერე თევზებს შეხედა და დაუმატა:

— ყოჩაღ, გოგი, ყოჩაღ! —

პატარა მეთევზემ თავმომწონედ გაიღიმა.

აგაფონმა სეილას ფისი მიაწოდა და სახელოთი ოფლი მოიწმინდა; ბავშს თევზები ჩამოართვა და დაათვალიერა.

— აი, ყოჩაღ, ბიჭო! — ამანაც შეაქო ბავში — გეტყობა, ადრე ამდგარხარ, თორემ ამდენს ვერ დაიჭერდი, — ხალისით ამბობდა აგაფონი და ჯერ კიდევ ცოცხალ თევზებს სინჯავდა.

ბავშმა გაიცინა. აგაფონი გაოცდა: ისეთი რა ვთქვი, რომ გოგი იცინისო? — და გაოცებულმა გადახედა სეილას.

— ეხ, რა ადგომა უნდა გოგის, განა არ იცი, რომ ობოლია და უსახლკარო?

აგაფონს თითქოს რალაც მოაგონდა; უსიტყვოდ გადასცა გოგის თევზები, გაბრუნდა და კვლავ მუშაობას შეუდგა.

მან გამალებით იწყო ანკესის ამოღება.

სეილამ კი ბავშს თავზე ხელი გადაუსვა და გაისტუმრა. გოგი სამიკიტნოსკენ წავიდა.

მᲬᲐᲠᲕᲔᲚᲘ.

აგაფონი დაფიქრებული მუშაობდა.

მუშაობის დროს მან ხმაურობა და ხშირი სიცილი იცოდა, მაგრამ ახლა ხმას არ იღებდა; ის გასცქეროდა მიმავალ ბავშს; ბოლოს, როცა გოგი თვალთაგან მიეფარა, აგაფონს უეცრად რაღაცა აზრი დაებადა და სიხარულით კინაღამ შეჰყვირა:

— ჰეი, სეილა! — ხმამაღლა დაუძახა მან მოხუც ამხანაგს და სირბილით გასწია მისკენ. სეილა გაკვირდა. სეილას თვალი ვერ მოეშორებია აგაფონისათვის და ხელში უძრავად შერჩენოდა ფისში ამოვლებული ფუნჯი.

აგაფონი მოვიდა.

ამას თვალები აღგზნებოდა და აღელვებული იყო.

— სეილა, გოგი ხომ ობოლია? — დაიძახა მან მოსვლისთანავე.

— ჰო, ობოლია, — უპასუხა მოხუცმა.

მაშინ აგაფონმა გულკეთილად გაიცინა და დაბეჯითებით დაუწყო სეილას საუბარი. ის ამბობდა: ბავში ცოდვაა, მას მოვლა უნდა, თორემ დაიკარგებაო.

— მით უფრო, — ამბობდა აგაფონი, — უსახლკარო ბავშებს ახლა თვით სახელმწიფო უვლის. არა, რა აგაფონი ვიქნები მე, თუ გოგის ეგ არ ვასწავლე და გზაზე არ დავაყენე? —

სეილა დაფიქრდა და ამხანაგის აზრი [illegible] მოეწონა. შემდეგ ისევ დაფიქრდა მოხუცი [illegible] უთხრა აგაფონს, მაგრამ უთხრა ისეთი კილოთი, როგორც მადლობას ეუბნებიან ერთმანეთს კაცები:

— ეხ, აგაფონ, გული მართლაც რომ კარგი გაქვს შენ, ადამიანური! —

აგაფონს სეილას უკანასკნელი სიტყვები არც გაუგონია. მოხუცს დაუძახა:

— მალე მოვალო — და ჩქარი ნაბიჯით გაემართა სამიკიტნოსკენ, სადაც წავიდა ჩვენი პატარა მეთევზე.

სᲐᲛᲘᲙᲘᲢᲜᲝ.

როცა აგაფონი მივიდა სამიკიტნოში, გოგი საუზმეს შეექცეოდა. მას თევზები გაეყიდა და ახლა უდარდელად ესაუბრებოდა წითურ მიკიტანს იმის შესახებ, თუ როგორ დაიჭირა ამდენი თევზი.

მიკიტანი თითქოს გულმოდგინედ უსმენდა, მაგრამ გამოჩნდა თუ არა კარებში აგაფონი, მიკიტანმა ბავშს თავი ანება და დახლში ჩადგა, თან აგაფონს მიესალმა და თავაზიანად ჰკითხა:

— რა მოგართვა, აგაფონ? უთუოდ არაყს ინებებ? —

აგაფონმა უარი უთხრა და გოგის დაუძახა. გოგი მკვირცხლად მოვიდა.

— აბა, წავიდეთ, ჩემო გოგი! — სთქვა აგაფონმა, ბავშს მხარზე ხელი შემოჰხვია და სამიკიტნოდან გამოიყვანა.

გოგიმ არ იცოდა აგაფონის განზრახვა, მაგრამ მაინც მიჰყვებოდა მას. წითური მიკიტანი კი გაიცდა.

ბავში გაემართა ქალაქისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკიტანმა ჯერ იფიქრა—აგაფონი დაბრუნდება, ერთ ჭიქა არაყს მაინც დალევს და სარგებელს მომცემსო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ იმედი გაუცრუვდა: ამიტომ მიკიტანმა ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია და დახლი გადასწმინდა.

ახალი ბინა.

აგაფონმა გოგი შინ წაიყვანა.

გოგი წაჰყვა.

გოგის ყველა იცნობდა იმ უბანში, და აგაფონის ცოლი ძალიან მოხარული იყო, მაგრამ როცა გაიგო—აგაფონს საბავშო სახლში უნდა გოგის მიბარებაო, დედაკაცი არ დათანხმა ქმარს:

— უკეთესი არ იქნება, ამბობდა ნინო,—ბავში ჩვენთან დარჩეს, სასწავლებელში იაროს, ისწავლოს და განათლდეს?

აგაფონს გაეცინა: თითქოს საბავშო სახლებში უსწავლელი რჩებოდენ ბავშები! მაგრამ ცოლს აზრი არ გაუმტყუნა; იცოდა აგაფონმა, რომ ნინოს ამდენი არ გაეგებოდა და გულკეთილად მიუგო:

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ შენ ნუ დაგავიწყდება, ნინო, რომ გოგი იქ უკეთ აიზრდება და სწავლასაც მიიღებს.

აგაფონი მართალს ამბობდა, და ნინო გაჩუმდა; აგაფონმა თითი მაღლა ასწია და ნინოს მოაგონა:

— განა არ იცი, რა დროა?

ამ საუბრის შემდეგ აგაფონი და გოგი სახლიდან გამოვიდენ და შუაგული ქალაქისაკენ გაემართენ.

გოგის პირი დაებანა, ტანსა მოსი გაესუფთავებია და დამშვენებული მისდევდა აგაფონს.

აგაფონი, რამდენიც არ ეცადა ნელა ევლო, ისევ აუჩქარებდა ხოლმე ნაბიჯს; ამიტომ მის ერთ ნაბიჯზე პატარა გოგის ორი ნაბიჯი უნდა გადაედგა და ბავშს სუნთქვა გაუხშირდა.

მაგრამ სუნთქვა არაფერია; გოგის უნდა ერთი რამე სთხოვოს აკაფონ ბიძიას და ამ ჩქარ სიარულში ვერ მოუხერხებია. ბოლოს გოგიმ აკაფონის სახელო დაიჭირა და შეარხია; თან დამნაშავესავით გაიღიმა.

— რაო, გოგი, რა გინდა?—იკითხა აგაფონმა.

გოგიმ თავი დახარა, გაწითლდა.

— ბიძია აგაფონ, არ შეიძლება სანდალზე ვიმუშაო?...—იკითხა ბავშმა.

აგაფონი დაფიქრდა:

— განა სწავლა არ გირჩევნია, გოგი?—

— როგორ არა!—წამოიძახა ბავშმა,—მაგრამ ზაფხულია და სწავლა ყოველგან შეწყვეტილია.

— ნუთუ?—შეეკვდა აგაფონი. მან არ იცოდა, რომ ზაფხულობით სწავლა წყდებოდა და არც ის იცოდა, თუ გოგიმ ეს საიდან გაიგო. აგაფონი დაფიქრდა და გოგის უპასუხა:

— წავიდეთ, ვნახოთ, იქ რას გვეტყვიან.

ერთი დიდი შენობა იდგა თვალუწვდენელ ეზოში; ეზოში გაეშენებიათ ბაღი და რადგან ახლა ზაფხული იყო, ბაღი ჰყვაოდა. არავინ მიმოდიოდა ეზოში, მაგრამ სახლში უთუოდ იყვნენ და ფანჯრებიც გაეღოთ.

აგაფონი და გოგი ჩავიდენ ეზოში. ეზო გაიარეს, კიბეზე ავიდენ და კარები დააკაკუნეს. კარები ხნიერმა ქალმა გააღო და სტუმრები მიიწვია. ოთახში დასხდენ.

ხნიერმა ქალმა ერთი შეხედა აგაფონს, თითქო ჰკითხა: რაზე მოსულხარო, და აგაფონმა დაიწყო.

მან უთხრა ქალს, რომ გოგი ობოლია, უსახლკაროა და უნდა მისი მობარება.

ქალმა კალამი აიღო და ქაღალდზე რაღაც დაწერა; მერე გოგის სახელი და გვარი ჰკითხა; მამის სახელიც იკითხა; შემდეგ დაწვრილებით გაიგო ბავშის ვინაობა, ყველაფერი ეს ქაღალდზე დაწერა და აგაფონს გამოუცხადა:

— კარგი! გოგი მიღებულია ჩვენთან. თანაც გოგის გაულიმა და თავზე ხელი გადუსვა.

აგაფონს გაუხარდა. გოგისაც უხაროდა.

ამ დროს აგაფონს ბავშის თხოვნა მოაგონდა და ქალს ბოდიშით ჰკითხა:

აგაფონმა ბავშს თევზები ჩამოართვა და დაათვალიერა.

— შეიძლება თუ არა ამ ზაფხულში გოგი ჩემთან დარჩეს და შემოდგომიდან შეუდგეს სწავლას? მართალი გითხრათ, ბავშს სანდალზე მუშაობა ეხალისება, მე კი არ ვიცი, როგორ მოვიქცე!

ქალმა ისევ გაიღიმა:

— რა თქმა უნდა, შემოდგომამდე შეუძლია თქვენთან დარჩეს, — სთქვა მან, — მაგრამ მუშაობით არ დაჰქანცოთ: ხომ იცით, ბავში ბევრ ჯაფას ვერ აიტანს. გოგის სიხარულით თვალი გაუგანიერდა და სახე გაუბრწყინდა. ქალი უთუოდ მიხვდა გოგის სიხარულს.

აგაფონი და გოგი ქალმა მიიწვია.

— მაშ შემოდგომამდე, გოგი! — მოფერებით სთქვა ქალმა გამომშვიდობებისას და აგაფონი და ბავში დაბრუნდენ შინ.

რა დრო იყო?

მაგრამ ეს იყო უწინ...

ჩვეულებრივის ერთფეროვნებით მიდიოდა ცხოვრება სანაპირო ქალაქში. ქალაქი პატარა იყო. გოგი ძალიან პატარა იყო და მამამისი მტვირთველ მუშად მსახურობდა ნავსადგურში. დილით ადრე მიდიოდა სამუშაოდ და შინ გვიან ბრუნდებოდა. გოგის დედა დიასახლისობდა და ცხოვრობდენ ღარიბულად.

როგორც ქალაქი იყო უცვლელი, ისევ უცვლელი იყო სიღარიბე გოგის სახლში.

მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა.

ქალაქში უცნაური ხმები გავრცელდა, ნავსადგურში სამხედრო გემები გამოჩნდა, და ატყდა მსოფლიო ომი.

გოგიმ არ იცოდა, რა იყო მსოფლიო ომი.

ხედავდა დიდებს, რომელნიც ჩაფიქრებულნი დადიოდენ და არ იცინოდენ; არც გოგის მამა იცინოდა, და დედა ხომ მუდამ მოწყენილი იჯდა და ოხრავდა.

შემდეგ მამა ჯარში გაიწვიეს.

როცა მამა ჯარში მიდიოდა, დედა ტიროდა; მამამ დედა გაამხნევა, გოგი გულში ჩაიკრა და ლოყა-ხანს ჰკოცნიდა.

გოგიც ატირდა. მამამ უთხრა დედას:

— ქალობა ახლა გმართებს, გოგის გიტოვებ და შენ იცი.

მამა წავიდა. მას შემდეგ გოგის არც უნახავს მამა,

გოგი ხედავდა დანაღვლიანებულსა და მტირალ დედას. გოგის დედა უყვარდა და თვითონაც იწყებდა ტირილს; კიდევ იმიტომ ტიროდა გოგი, რომ შიოდა და საბრალო დედა, რომელსაც გოგისთვის საჭმელი არ ჰქონდა, თავს იწყევლიდა.

უთუოდ მეზობლებიც ასე იქცეოდენ, რადგან მათაც ჰყავდათ პატარა შვილები და შვილებისათვის საჭმელი არ გააჩნდათ. და როცა მეზობლები თავს ერთად მოიყრიდენ — იწყებდენ გოდებას, სწყევლიდენ ხელმწიფეს და ამბობდენ ნატვრით:

— განა ვეღირსებით მსოფლიო ომის დასასრულს? —

შემდეგ?

ერთ დღეს გოგის სახლში მოვიდა ფოსტის მოხელე და წერილი დასტოვა. წერილი იმდენად საშინელი იყო, რომ გოგის დედამ ერთი გულშემზარავად შეჰკივლა და იატაკზე უგრძნობლად დაეცა.

გოგიმ იფიქრა ვუშველიო და დედას ანჯღრევდა, ტიროდა და საბრალო ხმით მოუხმობდა:

— დედა, დედიკო!!

დედა გაფითრებული იყო, თვალები დაეხუჭა და არ სუნთქავდა; ბავში შიშმა აიტანა; ხმა გაკმიდა, დამფთხალი ნაბიჯებით გაშორდა დედას, კუთხეში მიიმალა და მორთო ტირილი.

მეზობლებმა გაიგონეს ვაება და შეშფოთებულნი მოიჭრენ; გოგი გარეთ გაიყვანეს.

გულწასულ დედას წყალი ასხურეს და დიდხანს დასტრიალებდენ საბრალოს, სანამ გონს მოიყვანდენ.

როცა მოასულიერეს, წერილი წაიკითხეს და მეზობლებიც შეძრწუნდენ: გოგის მამა ომში მოეკლათ.

ამის შემდეგ გოგის დედა დაავადმყოფდა და ლოგინად ჩავარდა. ის მალე გარდაიცვალა.

გოგი მარტო დარჩა. გოგის ხან ერთი მეზობელი ჰკვებავდა, ხან მეორე. მაგრამ ყველანი ხელმოკლედ ცხოვრობდენ და ის ხშირად რჩებოდა მშიერი.

გოგი წამოიზარდა.

არავის ეცალა მისთვის: მეზობლებს თავისი დარდი ჰქონდათ და მთელი ქალაქი, ქალაქი პატარა, უმხიარულოდ გამართულიყო ზღვის პირად და უცდიდა მსოფლიო ომის გათავებას.

ომი არ იყო გათავებული, რომ გაჩაღდა რევოლუცია.

მეომრებმა (რომელნიც ისეთივე მუშები იყვნენ, როგორც გოგის მამა) ხელი აიღეს ერთმანეთის ხოცვაზე და დაიძრენ ბრძოლის ველიდან.

ს. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინის ერთ მიყრუებულ ალაგას იდგა რკინის გზის ერთსართულიანი პატარა სადგური რაიპოლე. სადგურის უკან იყო პატარა ბაღჩა, სადაც რამდენიმე ალვის ხე იდგა, გარშემო კი თვალგადაუწვდენელი ტრიალი მინდორი იყო. ამ სადგურიდან ხუთი ვერსის დაშორებით იყო ერთი პატარა სოფელი და ამ სოფლიდან თუ წავიდოდა ხანდახან რკინის გზით ვინმე. ამის გამო იშვიათად ნახავდით ამ სადგურზე წამოსვლელ-მომსვლელს. მოსამსახურეები ამ სადგურზე დიდხანს არ რჩებოდენ: ყველა გაურბოდა ამ მიყრუებულ ადგილს, გარდა ერთი ტელეგრაფისტის, პეტრე ერემეევის, რომელიც ჭლექიანი იყო და ეს სიჩუმე და უსაქმობა მის სიჯანსაღეს ხელს უწყობდა.

ამ ტელეგრაფისტს არვინ გააჩნდა, ერთი თერთმეტი წლის ვაჟიშვილის სენკას მეტი. ეს ბაკში ძალიან ფხიზელი ბავში იყო. იზრდებოდა მარტოდმარტო, უამხანაგოდ. მამა და სენკა ძალიან იყვნენ დამეგობრებული. სენკა სულ მამის სამუშაო ოთახში იჯდა და ჩასცქეროდა აპარატს, უკვირდა, აპარატიდან რომ ქაღალდი გადმოდიოდა და მამა კითხულობდა. ძალიან მოწადინებული იყო სენკა ესწავლა აპარატზე მუშაობა და ისე წაეკითხა, როგორც მამას. ერემეევს უხაროდა ბავშის ასეთი სურვილი და დიდი სიამოვნებით უხსნიდა. სენკას თავდაპირველად ვერ გაეგო, თუ როგორ მიდიოდა სადგურიდან სადგურამდე მავთულებზე სიტყვები, მაგრამ მერე თანდათან მიხვდა ყველაფერს.

სენკა ისეთი ნიჭიერი და მოხერხებული იყო, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ თვითონ შეეძლო დეპეშის მიღება. ბევრჯერ თხოვა მამას მან მიეცა აპარატზე მუშაობის ნება, მაგრამ ერემეევს ეშინოდა სენკას არაფერი გაეფუჭებინა და აპარატთან არ უშვებდა. ერემეევი ხშირად ეტყოდა შვილს:

— არა, ჩემო კარგო. დეპეშის მიღება ეგრე ადვილი არ არის, როგორც შენ გგონია! ემანდ რასმეს გამიფუჭებ და დავიღუპები.

სენკა მაინც იმედს არ ჰკარგავდა და დარწმუნებული იყო, რომ, როცა გაიზრდებოდა, უთუოდ ტელეგრაფისტი იქნებოდა. მანამ თვითონ გააკეთა ხის სათამაშო აპარატი. ის არაფრით არ განსხვავდებოდა ნამდვილი აპარატისაგან, და მთელი დღე აკაკუნებდა. სენკა ისე გავარჯიშდა ამ ხის აპარატზე, რომ ნამდვილ აპარატზე სმენით შეეძლო მიეღო დეპეშა. როცა მამამისი მუშაობდა აპარატზე, სენკას სულ ესმოდა, რას ელაპარაკებოდა მეზობელი სადგური.

რევოლუციის დაწყებამ და სამოქალაქო ომმა ეს მივარდნილი კუთხეც გამოაცოცხლა. წინათ თუ ამ სადგურზე დღეში ერთ მატარებელს ნახავდით, ახლა ბევრი მატარებელი მიმოდიოდა. ხან გერმანელების ეშელონები მიმოდიოდენ, ხან პეტლიურასი, ხან საბჭოთა წითელი ჯარი. სენკა ახლა მთლად გამოცოცხლდა, მთელი დღე სადგურზე იყო, მამას შველოდა. მას არ მოსწონდა, როცა უკრაინაში შემოვიდენ გერმანელები და დაიწყეს თავისებური თარეში, დადიოდენ სოფელ-სოფელ, დაეძებდენ ბოლშევიკებს და ხშირად გლეხებს ტყეილ-უბრალოდ არბევდენ, ხოცავდენ. ამათმა საქციელმა მუშები და გლეხები ძალიან ააღელვა და რკინის გზის მუშებიც გაიფიცენ. ახლა კი სენკას აღარ შეეძლო ისე თავისუფლად სიარული, რადგან სადგურზე პატრულები დადიოდენ. პატრულები ყველას ცემას და დახვრეტას უქადდენ და ჩხრეკდენ. ამ დროს სენკა გარეთ ვეღარ გამოდიოდა. გერმანელებს მერე პეტლიურელები დაეცენ და გარეკეს, მაგრამ ახლა პეტლიურელებმა დაიწყეს თარეში და ცარცვა-გლეჯა. თავგზადაკარგული ხალხი დიდ ტანჯვას განიცდიდა, მეტადრე იმ დროს, როცა ერთმანეთს ეცემოდენ და ზარბაზნებს გუგუნი გაჰქონდა, ანადგურებდა სახლებს და სოფლებს. ხალხს მობეზრდა ასეთი მდგომარეობა და ნატრულობდა ჩქარა დამყარებულიყო რომელიმე ხელისუფლება. ამ დროს მოსკოვმა გამოუცხადა ომი პეტლიურელებს და 1919 წლის იანვარში გერმანელებს პეტლიურელებიც მიაყოლეს. ხალხი თითქოს უნდა დაწყნარებულიყო და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარიყო, მაგრამ ახლა წამოჰყვეს თავი სხვადასხვა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ბავში ცნობას იღებდა.

ბნელმა ძალებმა: მახნომ, გრიგორიევმა და სხვებმა... შეესეოდენ სოფლებს და აოხრებდენ, რკინი გზის ლიანდაგებს შლიდენ, ზარბაზნებით ანგრევდენ სოფლებს და სადგურებს. მცხოვრებლები ცის ქვეშ რჩებოდენ. სარდაფებში-ღა იფარავდა თავს ხალხი. რაღაც მიზეზით გადურჩა სადგური რაი-პოლე დანგრევას, მაგრამ ხან ერთი აიღებდა მას, ხან მეორე. ყოველ საათს სხვა მთავრობა იყო სადგურში, ერემეევი კი იჯდა აპარატთან და გადასცემდა სხვადასხვა განკარგულებას მეზობელ სადგურს.

ერთ დილას ერემეევი გულგახეთქილი შევარდა თავის შვილთან და დაუწყო ღვიძება.

— ადე, ჩქარა, ადე!—და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აჯანჯღალებდა სენკას.—ბოლშევიკები უკან იხევენ! ატამანი გრიგორიევი მოულოდნელად დასავლეთიდან მოდის ეშელონებით და თურმე სულ უნდა დახოცოს ბოლშევიკების კომისრები. მალე ადე, თორემ საცაა სადგურზე დაიწყება ბრძოლა. მე ისევ ტელეგრაფში გავიქცევი და შენც მალე მოდი.

სენკამ ფაციფუცით დაიწყო ჩაცმა, მაგრამ არ გასულა ორი წუთი, რომ ზარბაზანმა გააყრუა მიდამო.

სენკამ გამოაღო კარები, უნდა გამოვარდნილიყო, მაგრამ შავ კორიანტელს და ბოლს ველარ გამოატანა. საშინელი რამ ხდებოდა ამ სადგურზე, ყველაფერი ინგრეოდა. სადგურზე წითლების ჯავშნიანი მატარებელი იდგა და იგერიებდა გრიგორიევის ეშელონს. მამა არსად ჩანდა. სენკა ისევ სარდაფში დაბრუნდა და სულშეგუბებული უცდიდა, როდის შესწყდებოდა სროლა.

ხუთი წუთის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა და სენკას შემოესმა სადგურიდან რაღაცას გრუხუნი.

— ეს, ალბათ, ჯავშნიანი მატარებელი წავიდა, — გაიფიქრა მან და კიდევ შეიცადა. როცა დარწმუნდა, რომ ირგვლივ სიჩუმეა, მაშინ გამოვიდა სარდაფიდან და ტელეგრაფში მიირბინა, მაგრამ მამა იქ არ დაუხვდა. სადგურში მის მეტი არვინ დარჩენილიყო.

— ეხ, მამაც გაქცეულა!—წამოიძახა სენკამ და დაბრუნდა ისევ ტელეგრაფში.—მეც უნდა გავიქცე, სანამ პირში სული მიდგია, თორემ მეც აქ მომკლავენ. სატელეგრაფოში იმ დროს მას შორიდან მოესმა ჯავშნოსანი მატარებლის სროლა. თურმე ნახევარი ვერსით უკან დაეხია, ამოფარებოდა ყორღანოს და იქიდან უშენდა სადგურს. ბავში ის იყო გამოდიოდა ბალჩიდან, რომ მოესმა აპარატის კაკუნი. „ეს, ალბათ, მამაა მეზობელი სადგურიდან“.

წამსვე აპარატთან გაჩნდა, კითხულობს ლენტს.

— ვინ არის სადგურში?

სენკას სუნთქვა შეეკრა, მის მეტი არვინ იყო სადგურში, ვის უნდა ეპასუხნა, თუ არ მას? მაშ ტელეგრაფისტის ალაგი უნდა დაეჭირა.

მიუჯდა აპარატს და უპასუხა.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ერემეევი.

აპარატი წამს გაჩუმდა, შემდეგ ამუშავდა და სენკა თავის თვალს არ უჯერებდა. რამდენჯერმე გადიკითხა დეპეშა, მერე ეშმაკურად გაიღიმა.

— რა სეირია, — წამოიძახა სენკამ, — ისინი მე ჯარის წინამძღოლად მთვლიან. დეპეშა ერთი კიდევ წაიკითხა ხმამაღლა: „ცხენოსანთა დამხვერავ ჯარის წინამძღოლს ერემეევს. ბრძანება: ისარი გადიყვანეთ უმთავრეს ხაზზე. ხაზზე გამოვუშვებთ ცარიელ მანქანას, რომ მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მატარებელი დავამტვრიოთ. რამდენი ხალხი დაგვაკლდა სადგურის აღებაზე? გრიგორიევი“. ახლა კი მიხვდა სენკა, რომ გრიგორიევმა სადგურის დასაპყრობად გამოგზავნა ყაზახ ერემეევის მეთაურობით ჯარი და მათ სადგურამდე ვერ მოაწიეს.

სენკა ძალზე ღელავდა, თრთოდა, თითები უკანკალებდა, როცა დეპეშით უპასუხა:

„ატამანს გრიგორიევს. ჯავშნიანი მატარებელი ნახევარ ვერსზეა სადგურიდან. ისარი გადაყვანილია მთავარ ხაზზე. მოკლული არავინ არის. ერემეევი“.

აპარატი წამს გაჩუმდა.

შემდეგ ისევ მოისმა გრიგორიევიდან: „ორთქლმავალი წამოვიდა“.

სენკა შურდულივით გავარდა, მირბის, რაც ძალი და ღონე აქვს, ისრისკენ, გული საშინლად უცემს, სუნთქვა ეკვრის. „რომ ვერ მოვასწრო, — ფიქრობს ბავში, — ხომ დაიღუპენ წითლები და მათთან მამაჩემიც?

ბანდიტების გეგმა სენკასთვის ნათელი იყო. წითლების ჯავშნიანი მატარებელი ხელს უშლიდა გრიგორიევს. „თუ მე ორთქლმავალზე ადრე არ მივედი, მაშინ ბანდიტებისთვის გზა გახსნილია და უსათუოდ ქალაქშიაც შევლენ“. მან მოიკრიფა უკანასკნელი ძალა და ელვის სისწრაფით გაქანდა. აი, შეამჩნია სენკამ, რომ შავი წერტილი სწრაფად მოექანებოდა.

აგერ ისარიც! აკანკალებული ხელით გადიყვანა ისარი ჩიხში თუ არა, გამოუქროლა სტვენით და ღრიალით ორთქლმავალმა, გახვია ბავში ორთქლში და მთლად გააბრუა. ისეთი ძალით დაეჯახა ჩიხს ორთქლმავალი, რომ ნახევრად ჩაძვრა მიწაში და დაიმსხვრა. ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ცა და ქვეყანა დაინგრა. როცა სენკამ სული მოითქვა და გააჭყიტა თვალები, საზარელი სურათი ნახა! ისევ ასდიოდა კორიანტელი იქაურობას. სენკა ჯერ კიდევ არ გამორკვეულიყო კარგად, რომ შემოესმა ცხენების ფეხის ხმა. მიიხედა და რას ხედავს? მოჰქრიან ცხენებით ყაზახები. სენკა მაშინვე მიხვდა, რომ ეს ის ყაზახი ერემეევი უნდა ყოფილიყო, რომელიც სადგურის ასაღებად იყო გამოგზავნილი.

— ახლა კი უნდა დავიმალო, თორემ ნამდვილად მომკლავენ, — გაიფიქრა სენკამ და იქვე ჩაიმალა.

ყაზახები შემოცვივდენ სადგურში, შემოეხვიენ გარშემო თავის ორთქლმავალს, მოედვენ სადგურს, რომ ეპოვნათ დამნაშავე, მაგრამ სენკა ვერ შეამჩნიეს. სენკას მარსელიეზის ხმა შემოესმა. წამოჰყო

ბანდიტები გაიქცენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი და დაინახა, რომ საიდანაც ორთქლმავალი მიჰქროდა, იქიდან შემოდიოდა გრძელი მატარებელი. წინა ახდილ ვაგონზე იდგენ ჯარისკაცები წითელი ბაირაღით ხელში და მღეროდენ. ზოგი დოლს უკრავდა, მაგრამ სულ ეშლებოდათ, დახურულ ვაგონებში ბანდიტებს თავები გამოეყოთ, ზოგ ვაგონებზე ზარბაზნები ეწყო.

ამ სურათმა გააოცა სენკა. ამბობენ, გრიგორიევი ბანდიტიაო. ვინ ბანდიტი, ვინ წითელი ბაირაღი, მარსელიეზა? კინაღამ დაამტვრიეს წითლები თავისი ცარიელი ორთქლმავლით და ეს რა ამბავია? ვერ გამიგია, რა არის ეს?!



ესაუბრებოდა წითელარმიელებს.

გრიგორიეველები სადგურს ნელის ნაბიჯით, მუსიკით და ცეკვით უახლოვდებოდენ. დარწმუნებული იყვნენ, სადგურში მათ მოწინააღმდეგე არავინ ჰყავდათ და ეს მარსელიეზა და წითელი ბაირაღი ხალხის მოსახიბლავად იყო, რადგან გლეხებმა იცოდენ, რომ გრიგორიევი ხალხს ცარცვავდა, მიწებს ართმევდა, ხოცდა და სხვა. ისინი დაიბნენ, როცა მათ სიმღერას და თამაშობას ზარბაზნებით უპასუხეს ჩასაფრებულმა ბოლშევიკებმა. თავის სიცოცხლეში არ უნახავს სენკას ასეთი სურათი! გზაბნეულ ბანდიტებს არ ესმოდათ, ვინ რას აკეთებდა: ზოგი მირბოდა, ზოგი მატარებლის ამუშავებას ცდილობდა, ზოგი ზარბაზნებს მიათრევდა. ცხენოსანმა ყაზახებმა მიანებეს თავი ამხანაგებს და გაიქცენ. წითლებმა მოუხშირეს ბრძოლა და ბანდიტები ცეცხლში გახვიეს.

წითლების მატარებელი სროლით შემოვიდა სადგურში და გაჩერდა ბანდიტების დამტვრეული მატარებლის გვერდით. განდევნეს ბანდიტები სადგურიდან და შეუდგენ დათვალიერებას, თუ რა დარჩათ ბანდიტებს. სენკაც გამოძვრა საპალავიდან და მიირბინა ჯავშნიან მატარებელთან. და რას ხედავს: სადგურის ბაქანზე ტელეგრაფის შესავალში დგანან წითელარმიელები და მათთან მამამისიც. ყველა გაკვირვებულია.

— არაფერი მესმის, — ამბობდა ტელეგრაფისტი. — აქ ნათქვამია: „დამზვერავ ცხენოსანთა ჯარის უფროსს ერემეევს. ბრძანება: ისარი გადიყვანეთ მთავარ ხაზზე“. შემდეგ არის „ორთქლმავალი წამოვიდა“. ვინ უპასუხა, ან ვინ გადიყვანა ისარი ჩიხში, ჩემთვის გაუგებარია.

— ვინც უნდა ყოფილიყო, ის ყოჩაღად მოქცეულა, — ეუბნებოდა ღიმილით ჯავშნიანი მატარებლის წინამძღოლი, თორემ ეს ორთქლმავალი რომ დაგვჯახებოდა, ჩვენ ძვლებსაც ვერ იპოვიდენ, ისე დაგვამტვრევდა.

— ჩვენ კი გადავრჩით, მაგრამ ჩემი საწყალი შვილი სენკა სად არის?

ატირდა ერემეევი.

— ნუთუ ბანდიტებმა იმსხვერპლეს?

— აქა ვარ, მამა, — ბოხი ხმით დაიძახა სენკამ, ყელზე ჩამოეკიდა მამას და უსაყვედურა:

— რათ გაიქეცი უჩემოდ? მე ყაზახი ერემეევი ვეგონე ბანდიტებს, თორემ ნახავდით თქვენს სეირს! და თან თავი გადააქნია.

— სენკა, ჩემო სიცოცხლე, ნუთუ შენ ჩაიდინე ასეთი გმირობა და დეპეშა შენი გადაცემულია?

— რა თქმა უნდა, მე მივიღე და გადავეცი კიდეც პასუხი. შენ მე უჭკუო ხომ არ გეგონე, რომ ბანდიტები თქვენ დასახოცად გამომეშვა და მე მათთვის არაფერი მომეხერხებინა? და თან ჯიბეში ხელებჩაწყობილი მიდი-მოდიოდა და ამაყად უცქერდა ყველას.

სენკას გარს შემოეხვიენ წითელარმიელები და ჰკითხავდენ, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი.

თ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი მდინარის სათავეში

4. ნისლებში.[1]

ცამ პირი არ გახსნა—ჩამოშავებულია, ჩამომტირალი.

ხევებიდანაც ნისლი ჯარად ამოიჭრება ხოლმე და ჰფარავს არემარეს. გვერდზე მდგომნიც ხშირად ვერ ვხედავთ ურთიერთს... შევიცადეთ მცირედ, და ცას თითქოს შუბლი გაეხსნა, აქა-იქ ათამაშდა მზის სხივი; ისინი ისე დახტოდენ მთიდან მთაზე, თითქოს ციყვი დახტის ხის ტოტებზეო, და ეს იმიტომ, რომ ნისლები არ ისვენებდენ—ხევიდან მონა ბერისიო ამოიტანდა ზევით და მოჰფენდა ტბათანის ზეგანზე.

გავუდექით გზას. არ მესიამოვნება ეს ხშირი ნისლი.

ჩვენს გაღმა, დასავლეთით, ფშავეთის ლურჯი მთები მოჩანს, ნისლებით დატვირთული. არც ესაა კაი ნიშანი.

გავლიეთ ტბათანა. ირგვლივ ფუსფუსია. კარვებსა შლიან, ბარგს ალაგებენ, ცხენებს ასაპალნებენ, მიდიან ბარად: აქ უკვე აცივდა, ჩრდილოს ქარი რომ მწარედ დაუბერავს, თუშები პირს ბარისკენ იხამენ...

—ჩვენ მივდივართ, თქვენ ახლა მოდიხართ,—გამოგვეხმაურებოდენ ხანდახან,—თოვლებში ჩარჩებით, ბარელებო, თოვლებში!—მხიარულად დაატანდენ.

—იქნება ჩამოვბრუნდეთ როგორათმე,—გაეპასუხებოდა გაბო.

გავედით თუ არა ტბათანას, **ლაგაზის** მთას შევუდექით. ლამაზია, ალპიური ბალახეულობითა და ყვავილებით შემოსილი, თვალს სჭირს მათი სიმკვეთრე, მეტადრე თრულყვავილიანების. ჩამონაშალ კირქვიანებზე მრავლად, ვეებერთელა ბუჩქებად დასახლებულა **ბექქონდარა**; კლდის ნაპრალებშიც მოუკიდნია ფეხი. ხშირად ამ ბექქონდარათი მრავალი ფართე ადგილია მოსილი...

ყოველ მცენარეს ვიღებთ სიფრთხილით და ვინახავთ აბგაში. გაბოც გვშველის, ცხენები კი ვიწრო და კლდოვანი ბილიკით კატებივით მიდიან მაღლა, მაღლა. მართლაც მხოლოდ ამ გზებს შეეძლო გამოეზარდა ასეთი გამძლე და ამტანი ცხენი, მართლაც რომ თუშურ ცხენს იშვიათად დაედრება სხვა მხარის ცხენი მთებში სასიარულოდ.

ბილიკი ცოტა შესწორდა, ცხენებზე შევსხედით...

მარჯვნივ ნისლებითაა დაფარული ყოველივე, მარცხნივ, დასავლეთისაკენ, მოჩანს ილტოს ხევი. ლამაზია, მორგვალებული და ტყით შემოსილი მთები მისდევს მის ნაპირებს.

—აქვე ახლო **საქისტოს წყაროა**, ცივია მეტად, იქ შევისვენოთ,—ამბობს გაბო და ხელს იშვერს წინ...

ცა კი ისევ ჩამოპირქუშდა, უფრო დაბლა ჩამოწვა და წამოვიდა წვრილი და ცივი წვიმა. სეტყვასა ჰგავს, ისე სჭრის და ჰკბენს სახეს. ყურები შეგვიწითლდა სიცივისაგან და ეს კი „ცივ წყაროზე“ გველაპარაკებოდა.

—რა დროს ცივი წყაროა, გაბო!—ვეკითხები სიცილით...

—როგორ შეიძლება საქისტოს წყაროს ისე გაუარო, რომ არ დალიო!—სთქვა და ცხენს აუჩქარა. ცივმა ნიავმა დაუბერა და ამან უფრო გაგვამწარა.

ჩვენ წინ უცბად აიმართა პატარა კარავი... ძაღლი, თეთრი და ვეებერთელა, ყეფით გამოგვეგება. გამოეხმაურა მოხუცი, მოგვესალმა.

—მობრძანდით, მობრძანდით!—მიგვიპატიჟა.

კარაფი ქეჩითაა დაფარული. მის წინ ორი ოთხი-ხუთი წლის ბაღლი, ფეხშიშველა, მხიარულად თამაშობს. არც წვიმა და არც სიცივე არად მიაჩნიათ. მართალია, სახეც შესწითლებიათ, ტიტველი ფეხებიც, მაგრამ თავს კარგად გრძნობენ.

—რა გიკვირს, რომ ასე არიან?—მეკითხება ჩვენი ახალი მასპინძელი, შეამჩნია რა, რომ მე სიამოვნებით და გაკვირვებით ვუცქერდი მათ. ამავ დროს პატარა სერზე ქალიც გამოჩნდა, წყალი მოიტანა. მყის დადგა თუნგი ძირს და მოეტანა ჩვენს ცხენებს, ბარგის ჩამოღება დაიწყო...

კარვის მახლობლად მყუდროზე ცეცხლი ბოლავდა, და მე და ზაქარიამ მას მივუმარჯვეთ, დავაყარეთ სველი დეკა და ვცილობდით მალე გაძლი-

[1] დასაწყისი იხ. „პიონერის“ № 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერებულიყო: ჩაის ავადუღებდით. დილას თითქმის უსაუზმოდ წამოვედით, ახლა, ცოტა არ იყოს, შიმშილმა ყურში ჩაგვიჩურჩულა.

— ნიკო, წყარო დალიე! — გამომძახა გაბომ, რომელმაც ცხენები საძოვრად გაუშვა...

ავავსე ჩემი ფინჯანი, ვაწვდი გაბრიელს, მაგრამ არ მართმევს: „თავად დალიე, შენ პატარა ხარ ჩემზე“... მართლა ცივია, მაგრამ ამ სიცივეში რომელი წყალი არ იქნება ასეთი? მოვსვი, ცოტა გავჩერდი...

— აი, ახლა კი ყოჩაღად იმგზავრებ, არა გიშავს რა...

მთებში იცან რომელიმე წყაროს ასე ამოჩემება, რასაკვირველია, კაი წყაროსი. ან მოხერხებული შესასვენებელი ადგილის უეცველად შეჩერდებიან, დალევენ, დასვენებენ. მათ საუბარში ხშირად გაიგონებ: „რომ მოვდიოდი, საქისტოს წყაროსთან შევისვენე“... „იქ შემხვდა მავანი და მავანი კაცო“ და სხვა.

— კარავში მობრძანდით, აქ საუზმეთ, — მიგვიპატიჟა ჩვენმა მასპინძელმა. იქ სუფრა უკვე გაშლილი იყო. მოვუსხედით, ვიწროდ ვართ, მაგრამ წვიმამ მაინცარ გვასველებს. თუშებისთვის ეს კარვები მარტო ღამის გასათევად თუა, დანარჩენ დროს კარში ატარებენ.

ჩვენი მასპინძელი გვთავაზობს ახალ ყველს, ხაჭოს, პურს: ისაუზმეთ, თორემ გზა დიდი გაქვთ კიდე სავალიო.

გაბოს ამბავი დააბარა: ჩემ შვილს უთხარი წამოვიდეს, ცხენები გადმორეკოს, დროა ბარად წასვლისაო.

კვლავ ათამაშდა მზის სხივი, თითქოს გამოიდარა, ზოგჯერ ღრუბელიც დაიგლიჯა, და ლურჯი ცა გამოჩნდა... გულს ნათელ შუქად ჩაეფინა.

აგერ ჩრდილო-დასავლეთისაკენ გაიხსნა ცა... მოჩანს თოვლიანი მთები.

— ეგ ლომია, ჰხედავ, როგორ სდგას ზედ! — მითითებს გაბრიელი. ეს ხომ ძველი ნაცნობია, მყინვარწვერი, თუშები მას **ლომს** ეძახიან. მარჯვნივ, აღმოსავლეთისკენ, ამართულია კლდოვანი მწვერვალი **სპეროზა.** ზოგან სპეროზა იმდენად შეეულია, რომ ზედ მოლი ვერ შექმნილა და მკერდჩამოღარული იმზირება. ალპების ქვემოთ ალაგ-ალაგ მოჩანს ხეები, ციცქირები, შესაძლებელია ფიჭვი იყოს. ნეტავ იქ როგორმე წავიდეთ! — ვნატრობ გულში და მებადება ფიქრი და გეგმა მასზე ასვლისა მერმის მაინც, თუ წელს ვერ მოვასწრებ.

ეს ბილიკი მთის ზურგზე მიდის, ჯერ **ლაგაზის** და მერე **მასარის** ქედზე, აქეთ-იქით თვალჩაუწვდენი ხევები ჩასდევს, ბილიკი იმდენად ვიწროა, რომ ზედ თამამად გადაალაჯებ. მხარმარცხნივ ჩაკვეთილი, დასავლეთისაკენ, **ოორის ხევია,** რომელიც ძირს მოჩანს თეთრად. მარჯვნივ, აღმოსავლეთისაკენ, **წიფლოვანის ხევია.** ალაზნის ხევები იმდენად ღრმაა, რომ მდინარეთა ქუხილი ჩვენამდე ვერ აწევს. ვხედავ კი, რომ იქ ქუხილი უნდა იყოს, რადგან მდინარენი აქაფებულნი მიექანებიან თავქვე.



პიონერები ერთობიან.

პიონერები სწავლობენ თოფის მოწყობილობას.

ალაზანი და იორი, ორივ **ბორბალოზე** დაბადებული [1]), თითქოს მხარდამხარ მოდიან; მარტო ეს ვიწრო ქედი აკილებს ერთმანეთს, ურთიერთის ხმაური თითქოს ესმით, მაგრამ კი ვერ ხედავენ.

სამხრეთისაკენ ეს ვიწრო ქედი განივრდება, იტოტება და მდინარენიც შორდებიან ურთიერთს, რომ ძირს, დაბლობზე, შირაქის ველის ფარგლებში და ურაუბეზე მაინც შეხვდენ ერთმანეთს დაკარგული ძმები.

ვცდილობ, რომ ყოველივე დავინახო, სანამ ოდნავ გადაყრილია ღრუბელი, მაგრამ დიდხანს არ დამცალდა არემარეთი დატკბობა.

ხევებში დაიკივლა ქარმა. წამოვიდა შედედებული ნისლი და ჩამოშავდა ცა, აღარც გაუხსნია შუბლი.

— აი, გავერანდი, კაი ამინდი შენა ხარ!-თითქმის ოთხივ მგზავრმა გავიმეორეთ ეს ჩვენი წუხილი.

გავიარეთ **თათრების ნაბინავარი** („აქ თათრის ჯარი მდგარა“ —დაატანა გაბომ) და გავედით **რკინის მთის ბილიკზე**. მართლაც რკინის მთაა. ნაშალი კლდითაა მოფენილი. აქა-იქ ნაპრალებში მოჩანს ალპების ჩაგვერა ყვავილები. ბილიკი ჯერ ალაზანს უცქერს. მალე გადვიარეთ მისი ვიწრო მწვერვალი და მოვექეცით იორისაკენ. აქ ნისლებიდან ამოიჭრა მისი ყრუ გუგუნი... ქარიც გაძლიერდა. წამოვიდა სეტყვა, ჯერ იშვიათად, მაგრამ მერე ისე წამოუშინა, რომ კინალამ ცხენები გადაგვიჩეხა: ეჯავრება ცხენს, როდესაც თავში ხვდება რამ. ჩამოვიქვეითეთ და მოხერხებულ ადგილებში მივიყვანეთ ცხენები, აღვირებით მაგრად გვიჭირავს, რომ არ დაფრთხენ და არ დაგვეღუპონ.

სეტყვა ხან ჩერდებოდა და ხან ისევ ხშირად წამოვიდოდა, და ატოკდებოდენ ცხენებიც.

ჩვენ კი ნაბდით ვიფარავდით თავს. წამში თეთრად დაიფარა შავი კლდეები. გადაიღო და შევძელით სვლა... სეტყვის საფარიდან მოჩანს ლამაზი გვირილა, ფხიჯა, აგერ ქარცხვიც, ფურუსელა... გავიარეთ ბუნგალთ გორის ღელე, ღრმა და თვალჩაუწვდენი, **ხადის გორი**, **სტეფანეს დანაჭერი** და გაველით **მასარას**, ფართო ტაფობზე, ალპიური ბალახებით შემოსილზე. მოჩანს ცხვრის ბინა, ან ნაბინავარი. ერთი ბოძი არჭვია მიწაზე, თექა ჭკიდია და გუდა. შიგ, ალბათ, ქუმელი იქნება.

ვინ იცის, რა დღე დაადგა მეცხვარეს ამ სეტყვის დროს. ძნელია, სეტყვა რომ ცხვარს მოასწ-

[1]) იორის სათავეები ბორბალოდან გამოსულ ქედზეა—მასარაზე. ალაზნის ტოტი, წიფლოვანის წყალი, ლამის თვით ბორბალოს წვერიდან იწყება. საძყურის წყალი მხევლის და სამყურის მთებში იწყება. ერთდებიან პანკისის ხეობის დასასრულს, ტოლოშს. ალაზანს სათავეებში არზონსაც ეძახიან.

რებს, მეტადრე ვიწროებში სადმე: აირევა, თავგზას დაჰკარგავს, ყოჩაღი უნდა იყოს მწყემსი, რომ გადაარჩინოს ამ დროს ცხვარი.

მასარადან გზა დაქვეითდა. წიფლოვანის ხევში უნდა ჩავიდეთ და იქიდან შევუდგებით საყორნის გადასავალს. ამბობენ, ძნელი გადასავალიაო.

ჩავლიეთ მეორე აღმართი და თოვლის ველი გადავიარეთ. ხევში ვერ დამდნარა, მის ქვეშ გამოჩუხჩუხებენ ნაკადულები და მიექანებიან ქვევითკენ. აქ ბილიკი კლდეებზე მიდის, ქვევით დაგეზებული, რომელმაც შეგვაყვანა სუბალპების ტყეში. ცირცელი, ტირიფი, ბოყვი სულ აქ შეყრილან. მიწაზე გართხმულია დეკა, ტყეში ჩამოჭრილი. თუმც დაღლილები ვართ, ხელი მაინც წავატანეთ მწიფე ყოლოს და ხუნწს. მივდივართ სველ ბალახებში, რომელნიც წელ ზევით გვცემენ და გვასველებენ.

ჩავლილით ალაზნის პირს, გავყევით მის ნაპირს, აქეთ-იქიდან გადმოქუხან მდინარენი, მთის ნაკადი. მრავალი მათგანის ხევი თოვლითაა ამოვსებული. ზამთარში მთის წვერებიდან ზვავები მოდიან, ავსებენ ამ ხევებს, ზაფხულში ვერ ასწრებენ დადნობას და მდინარენიც იქიდან გადმოჩქეფენ.

— ზევით წავიდეთ, არზონი იქ უფრო პატარა იქნება,-გვირჩევს გაბო, და მივდივართ ამღვრეული მდინარის პირს; ხან მის ნაპირში ტოპვაც გვიხდება, იმდენად დაშვებულია და ციცაბოა ნაპირი. გადვიარეთ თოვლის რამდენიმე გვირაბი.

ხეობა მეტად ვიწროა, მთები თითქოს ციდან დაკიდულანო, ისეა ჩამოშვებული, ფეხის მოკიდებაც გაუჭირდება კაცს.

— აქ უნდა გადვიდეთ, — სთქვა გაბომ და შეაგდო ცხენი ალაზანში. ჩვენც მივყევით. გაუჭირდათ გასვლა: მდინარე მეტად ჩქარია.

საყორნე, თუშეთისკენ გადასავალი, ნისლებშია გახვეული... ზევიდან რაღაც კივილი მოგვესმა.

— აქ უნდა შევიცადოთ, სანამ არ ჩამოვლენ ისინი, — ხელი გაიშვირა ნისლებისაკენ.-ბილიკი ისე ვიწროა, რომ გზას ვერ ავუქცევთ. იმიტომ ყვირის ისიც, გვატყობინებს, მოვდივართ და, თუ ამოსვლას ეპირებით ვინმე, შეიცადეთო.

ოცი წუთის შემდეგ ნისლებიდან გამოვიდენ დატვირთული ცხენები. ერთი კარგი ქურანი ცხენი ქალს მოჰყავს აღვირით, ბალღი და ვაჟკაცი დანარჩენთ მოერეკებიან. ჩამოვიდენ, მოგვესალმენ.

ვეკითხებით მთათუშეთის ამბავს. გაბომ თუშურად გააბა საუბარი, ერთი ორჯერ ბალღსაც უთხრა რაღაც. თურმე ეს მისი შვილი იყო, მოჯამაგირედ ჰყოლია მომავალს.

ვუცქერი მამაკაცს და მელიმება... მასაც ელიმება...

— ნიკო, ვერ მიცან?-მეკითხება უცბად. მეუცნაურა, გამეხარდა, მაგრამ ვერ ვცნობ.

— აგრე უნდა დავიწყება? — და კვლავ გაელიმა.

ახლა კი მომაგონდა! ლევანი! ერთად [illegible] მთავრეთ გიმნაზია და მას შემდეგ აღარ შეგ[illegible]ვარ. ლევანი მთებში წამოვიდა. მესმოდა ამბად, იქ დატრიალდა, ცხვარშია. გადავეხვიეთ ძმურად, მოვიგონეთ ბევრი რამ.

— ის ბალღები ჩემია, საქისტოზე რომ ნახეთ, — მეუბნება ღიმილით.

გამოვესალმეთ, ნელ-ნელა შევყევით დაკიდებულ აღმართს. არ ვიცით, რა დროა: ზაქარიას საათიც დადგა, ალალბედზე დავაყენეთ. ვერ გამოგვიანგარიშია, პირიქით მოვასწრებთ გადასვლას თუ ვერა.

თუ აქეთ შემოგვაღამდება, ისეთი ადგილი მაინც უნდა ამოვირჩიოთ, რომ შეიძლებოდეს ღამის გათევა: უალაგო ალაგას შემოღამება მეტად ძნელი იქნება.

გადავწყვიტეთ წინსვლა. მივდივართ, რამდენადაც შეგვიძლია სწრაფად. აი ავედით მწვერვალამდე, გადვიარეთ ხორხები და გადასავალზე ვართ უკვე. აქ დაუბერა ცივმა ქარმა და ნისლები გადაყარა, გამოჩნდა **ბორბალოს** მწვერვალიც. კაი დარი რომ იყოს, უეჭველად ავიდოდი; ახლოა გადასავალი, ხომის მკერდზეა.

არც მზე ჩასულა ჯერ.

ჩამოვიქვეითეთ (დაღმართზე ცხენიდან უნდა ჩამოხტეთ) და ჩქარის ნაბიჯით დავეშვით პირიქით. ნისლების ნაგლეჯებში მოჩანს პირიქითის თუშეთი, შორს თოვლიანი მთები, ძირს კი **პირიქითის ალაზანი** (ყოისუ)... რა კარგი იქნება, რომ ნისლმა სულაც გადიყაროს! საქმე არა გაქვთ?! იმდენად გაძლიერდა, რომ გაბოს გზის არევისა ეშინოდა, მაგრამ მაინც მალე ჩავლიეთ ნისლებიც და ჩვენს ფეხქვეშ გამოჩნდა ლამაზი ხეობა, მდინარის ნაპირას კი მეცხვარეთა ბინები.

მშივრები და გაწვალებულნი, უკანასკნელ ძალამდე სველები მივადექით **საჯაყიშვილების** ბინას...

მიგვიღეს მგზავრები ისე, ვით შეჰფერის მთიელ მასპინძელს სტუმრის მიღება...

დაღამებულია უკვე, ხევებში ღამეა ჩამოწოლილი, როდესაც ცხენებს ვხდით ბარგს. არც ცხენებია ნაკლებ დღეში, ისინიც ჩვენზე უარესად არიან.

აგერ სიბნელეში ვხედავ, რომ ცხვარი დაჰკლეს სტუმრის დასახვედრად.

— გაგიჭირდებოდათ ნისლებში, წვიმაში!..

— მოიწით ცეცხლთან, — გვიპატიჟებდენ ცეცხლისკენ და ცდილობდენ მოხერხებულად მოვწყობილიყავით.

ცეცხლზე კი ქვაბი დგას და იხარშება მსუქანი ცხვრის ხორცი, დაღლილი და მშიერი მგზავრის იმედი.

ნ. კეცხოველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის პიონერთა მუშაობა ოჯახში.

პიონერ-ორგანიზაციის მუშაობის ერთ მთავარ ამოცანას სოფლად ოჯახში მუშაობა წარმოადგენს. მართალია, ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ პიონერთა მუშაობის წარმატებებს ოჯახში, მაგრამ ამ მუშაობას ჯერ კიდევ ყველგან ვერ მოუპოვებია თავისი ადგილი. ამიტომ ჩვენი მიზანია მივაქციოთ პიონერთა ყურადღება ოჯახში მუშაობის ამ მნიშვნელოვან საკითხებზე.

მანამ, სანამ პიონერთა წინაშე წამოაყენებს ოჯახში მუშაობის ამოცანებს, პიონერ-კოლექტივმა უნდა იცოდეს, რომელი ან რანაირი ოჯახიდან არის გამოსული ესა თუ ის პიონერი, რომ, საჭიროების მიხედვით, სხვა პიონერებიც დაეხმარონ მას ოჯახის მუშაობაში. რასაკვირველია, არ შეიძლება ერთი საზომით მივუდგეთ ყველა ოჯახს. აქ საჭიროა ღარიბი და საშუალო გლეხის ოჯახებისადმი ერთი მიდგომა, მოჯამაგირის ოჯახისადმი — მეორე, წურბელის („კულაკის") — მესამე, სოფლის ინტელიგენციისადმი — მეოთხე. თითოეული ასეთი ოჯახი განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს და, მაშასადამე, პიონერებმაც ამის მიხედვით უნდა აწარმოონ მუშაობა.

პიონერ-კოლექტივის წინაშე უნდა წამოიჭრას საკითხი პირველ რიგში მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხის ოჯახების საქმიანობაში მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ, ვინაიდან ეს სამი სოციალური ჯგუფი სოფლის მოსახლეობისა უფრო მეტად არის ეკონომიურად ჩამორჩენილი, ვიდრე სხვა.

ამისათვის საჭიროა პიონერ-კოლექტივში პირველად ჩატარდეს რამოდენიმე საუბარი ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკასთან დაკავშირებით სოფლად — თუ რისთვის უნდა აწარმოონ პიონერებმა მუშაობა და საიდან უნდა დაიწყონ ის. ამის შემდეგ კოლექტივის საბჭომ უნდა გაანაწილოს დავალება რგოლებს შორის და შეუდგენ საქმიანობას. შემდეგ უნდა იქნეს აღრიცხული, თუ რა ნაყოფი მოიტანა რგოლების მუშაობამ, რა წარმატებებს მიაღწიეს ან რა ნაკლი დაჰყვა ჩატარებულ მუშაობას; ამისათვის ჯერ რგოლის შეკრებაზე უნდა შეაჯამონ გაკეთებული საქმე, ხოლო კოლექტივის საბჭოს სხდომაზე რგოლის მეთაურები წარადგენენ ანგარიშებს, თუ რა გააკეთა თითოეულმა რგოლმა.

რგოლებს შეიძლება დაევალოს:

უფროს რგოლს: მიეშველოს ოჯახს საერთო მუშაობაში, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამეურნეო მუშაობას და გაზეთების წაკითხვას მშობლებისათვის.

საშუალო რგოლს: თითქმის იგივე დავალება უნდა მიეცეს, მხოლოდ იმ მითითებებით, რომ უმთავრესად პაწაწა ბავშებში იმუშაონ — და პირველ რიგში კი წერა-კითხვა შეასწავლონ.

უმცროს რგოლს: უნდა მიეცეს დავალება, რომ გაკეთებული საქმე გამოხატოს დიაგრამებით, სქემებით, მოამზადოს მასალები კედლის გაზეთისათვის, საანგარიშო საღამოსათვის და სხვა. გარდა რგოლებრივი მუშაობის წარმოებისა, საჭიროა ინდივიდუალური დავალების მიცემაც, ამისათვის თითოეულმა რგოლმა უნდა გაარჩიოს საბჭოს მიერ მიცემული დავალება თავის სხდომაზე იმ ანგარიშით, თუ რომელ პიონერებს რის გაკეთება შეუძლიათ. ამის შემდეგ რგოლი დავალებას ანაწილებს პიონერთა შორის. „თუნდაც სულ პატარა, თუნდაც სულ უმნიშვნელო" საქმე დაევალოს პიონერს, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახისათვის.

ვთქვათ, პიონერ შაქროს დედას სარეცხი აქვს სახლში და წყლის მოტანაა საჭირო. ამისათვის შაქროს დედას არ უნდა სჭირდებოდეს მისი ძებნა, არამედ თვით უნდა მივიდეს შაქრო და მიეშველოს წყლის მოტანაში. მეორე პიონერს, ილიკოს, მიეცეს დავალება, რომ მისი და თინიკო არ დადიოდეს უსუფთაო პირისახით, არ ანაგვიანებდეს დასუფთავებულ სახლს, მიაჩვიოს, რომ სახლის დაგვის დროს ფანჯარა ან კარები რამოდენიმე წუთით გამოაღოს ხოლმე და სხვა.

მაგრამ გარდა იმისა, რომ თითოეულ პიონერს მიეცემა ასეთი დავალება, რგოლს შეუძლია მოჰკიდოს ხელი სავსებით უბრალო საქმეს. ვთქვათ, ილიკოს მამა წავიდა ქალაქში სხვადასხვა საოჯახო ნივთის საყიდლად და ილიკოს არ შეუძლია შემა დასჭრას ბუხრის ასანთებად. მაშინ რგოლი გადასწყვეტს წავიდეს ილიკოს სახლში და მიეშველოს მას შეშის დაჭრაში და შეზიდვაში. აი, დაახლოებით ასეთ ფორმებში უნდა წარიმართოს რგოლებისა და ცალკე პიონერების მუშაობა, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ოჯახს რომელ დარგში სჭირდება მიშველება და ვინ რა უნდა გააკეთოს.

ან კიდევ ასე: რგოლის კრებაზე გამოაქვთ დადგენილება, რომ ვინაიდან ლენინის გარდაცვალების წლისთავი უკვე მოახლოებულია, ყველა პიონერს ევალება მოუყვეს თავის დედ-მამას, ვინ იყო ლენინი, — შავ და წითელ ქალალდების ჩარჩოში ჩასმული ლენინის სურათი ჩამოჰკიდოს სახლში. შეიძლება სხვა ამგვარი ხასიათის დავალების მიცემაც (პირველი მაისი, საბჭოს გადარჩევა და სხვა). დავალება თითოეულ პიონერს ეძლევა ერთი ან ორი კვირის ვადით, იმისდა მიხედვით, თუ რანაირი სირთულის ან მოცულობის არის დავალება. საჭიროა თითოეულმა რგოლმა იქონიოს ცალკე რვეული, სადაც უნდა იწერებოდეს, რაც დაევალა თითოეულ პიონერს. როცა ესა თუ ის პიონერი შეასრულებს თავის დავალებას, რგოლის შეკრებაზე აკეთებს ანგარიშს გაკეთებული მუშაობის შესახებ. ამ გზით რგოლს შეძლება აქვს თვალყური ადევნოს პიონერთა მონაწილეობას ოჯახის საქმიანობაში. იმისათვის, რომ რგოლები არ ჩამოსცილდენ კოლექტივის მუშაობის სხვა დარგებს, რგოლი ყველაფერს სწერს რვეულში და თავის მხრივ სამ თვეში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს კოლ. საბჭოს ოჯახში მიხწეული შედეგების შესახებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის შემდეგ საბჭო აძლევს მთელ რიგ მითითებებს შემდგომი მუშაობისათვის. მაგრამ ამ მუშაობის წარმატებით ჩატარება ძალიანაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ფართოდ იქნებიან მიზიდულნი თვით პიონერთა მშობლებიც. უკანასკნელნი უნდა გაერკვენ, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ოჯახისთვის პიონერს თუნდაც იმ პატარა საქმით, რომელსაც ის შეასრულებს ოჯახში. მით უფრო აუცილებელია მშობლების ჩაბმა პიონერ-კოლექტივის მუშაობაში, რომ ბევრი გლეხი არ უშვებს თავის ბავშებს პიონერ-კოლექტივში მხოლოდ იმ უბრალო მიზეზით, რომ მან არ იცის, რას აკეთებს პიონერ-კოლექტივი.

„სოფლის ზოგიერთი გლეხი არ უშვებდა თავის შვილებს კოლექტივებში, იმიტომ, რომ მათ არ იცოდენ, რა შრომითი აღზრდის მიზნებს ისახავს პიონერ-კოლექტივი. მაგრამ როცა მოხსენება გავუკეთეთ ამის შესახებ, მაშინ დიდის კმაყოფილებით გამოუშვეს ბავშები პიონერ-კოლექტივში ჩასაწერად. ახლა საქმე კარგად მი ის და ბევრი ბავში ეწერება ჩვენს პიონერ-კოლექტივში“,—გვწერენ ერთი სოფლიდან. მიუხედავად ამისა, კოლექტივის ბევრი ხელმძღვანელი ასე ფიქრობს: „რა საჭიროა მშობლების მიზიდვა, მათ არაფერი არ ესმით ბავშების აღზრდისაო“. ცხადია, ასეთი შეხედულება სავსებით მცდარია. მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ოჯახში იმას, ასრულებენ თუ არა მათი შვილები (პიონერები) იმ წესებს და დავალებებს, რომელსაც კოლექტივში აძლევენ. ასეთი კონტროლისათვის კი მშობლების მხრივ საჭიროა მათი კოლექტივის მუშაობაში ჩაბმა და გაცნობა იმისა, ვის რას ავალებს პიონერ-კოლექტივი ოჯახში გასაკეთებლად. იმისათვის, რომ მშობლების საშუალებით აღირიცხოს პიონერთა საქმიანობა ოჯახში, საჭიროა მშობლების კრებების მოწვევა თვეში ერთხელ მაინც. აქ მშობლებს შეუძლიათ ანგარიშის გაკეთება და აღნიშვნა იმისა, თუ როგორ ასრულებს პიონერი კოლექტივის დავალებას და რა ნაკლი აქვს მას მუშაობაში. მშობელთა კრებების შემდეგ კარგია, და საჭიროც არის პიონერების ძალებით გამართულ იქნეს საანგარიშო საღამო, სადაც უნდა გაჩაშკარავდეს პიონერთა უკეთესი მიხწევები ოჯახში მუშაობით. ამის შემდეგ მშობლები დიდად კმაყოფილნი რჩებიან და ინტერესდებიან პიონერ-მუშაობით.

აი, დაახლოვებით რა გზით შეიძლება სოფლის პიონერთა წინაშე მდგომარე ამოცანების გადაჭრა ოჯახში მუშაობის საქმეში.

ბ.

სამხედრო ლაშქრობაში მონაწილე ზუგდიდის პიონერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



᩠ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ.

᩠ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ.

პეკინის ქუჩები, განსაკუთრებით მისი შესახვევები, მუდამ სავსეა ბავშებით. აგერ მთელი ჯგუფი დედაბრებისა დატრიალებს ბავშის გარშემო. ბავში შიშველია, მხოლოდ წინიდან მუცელს უფარავს ფანელის წითელი წინსაფარი, რომელიც იცავს მას გაცივებისა და დიზენტერიისაგან. თავზე ჩამოფხატული აქვს ქუდი, ცოტა მოზრდილია და თითქოს კიდეც აპირებს სიარულს, ფეხები უკვე გაყრილი აქვს შარვლის ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ტოტში, რომლებიც მიმაგრებულია ქამარზე თასმებით; თავზე პატარა რქებივით წამოჩრია კოხტად დაწნული თმები.

აი ერთს, კიდევ მასზე უფრო მოზრდილს, თვით მამამისი დაატარებს ხელით ბაზარში და ყიდულობს მისთვის კაპეიკიან ჭყიპინას და კიდევ რაღაც საოცრად ვიწროფსკერიან ბოთლს, რომლის ბოლო მოძრაობისაგან იბერება და ჭყივის. ის სიამოვნებით სწოვს გაქვავებულ ხალვის მსგავს ტკბილ კონფეტს.

აი ვილაც ბავში კიდევ. სადღაც რიკშით მიმავალი დედის მუხლებზე ზის, ერთ ხელში უჭირავს სათამაშო ბუნჩუკი, მეორეში დაშაქრული ვაშლები, ჯოხზე მძივებივით აცმული.

შემდეგ კი, როცა დარბის სკოლაში, აცვია ტანთ ერთიანი ხალათი, თითები უკვე მიჩვეულია წვრილთავიანი კალმის ხელში მომარჯვებას. სდგას „ასი იეროგლიფის“ დიდ წიგნთან და ტანის რხევით და გალობით იზეპირებს აუცილებელ და პირველი საჭიროების ცოდნის და კარგი ყოფაქცევის წესებს. სკოლაში მას უცვლიან ბავშობისას მიღებულ სახელს (ჩვეულებრივ რომელიმე ცხოველის სახელწოდებისას — „დათუნიას“, „კატუნიას“) რომელიმე ორსიტყვიანი სახელით, რომელსაც მას უგონებს მასწავლებელი.

ასე დგება ფეხზე და გამოდის ცხოვრებაში პატარა უზრუნველი ჩინელი, რომ მთელი მომავალი ცხოვრება ზანტად, მამაპური ჩვეულების მიხედვით მშვიდად და კეთილად გაატაროს. მაგრამ...

ტიან-ცზინში, ხანკოუში, შანხაიში, სადაც ქარხნის მილები ცას მურავენ კვამლის ნისლებით, სადაც წარმოების ცხელებით აზანზარებს ქარხნის შავ კედლებს, — იქ ღარიბი პატარა ჩინელისათვის საშინელებაა.

გაღატაკებული, დამშეული სოფლებიდან, საჯინიბოსავით ამყრალებული მიდამოებიდან, ომიდან დარბეული ქალაქებიდან ქარხანა მრავლად იბოჭავს თავის ხელებში პატარა ჩინელ გოგო-ბიჭს, რომელთაც ესღაა აუდგამთ ფეხი და უსწავლიათ ლაპარაკი.

დამშეულ სოფლებში გაჭირვებისაგან მშობლები მცირე თანხებში ჰყიდიან საზოგადო სახლებში თავის ქალიშვილებს, ჰყიდიან ვაჟებსაც, მაგრამ უფრო მეტ ფასად.

სოფლად და ქალაქად ნახევრად მათხოვარი ხელოსანი ან მებოსტნე სესხში აძლევს თავის ვაჟიშვილს რომელიმე გაიძვერა კომისიონერს, რომელიც თავის მხრივ მასში ფაბრიკიდან თვეში ექვს მანეთს იღებს, მამას კი მხოლოდ ორ მანეთს აძლევს. ასე იჭედება ჩინელი ბავშების მონობის ბედი.

იქ მთელი საშინელებაა. ნაყიდი ბავშების შრომით იქ მთელი წარმოებებიც კი არსებობს. ამ ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილ იქნა შანხაიში ერთი ასეთი ფაბრიკა, რომელიც მდებარეობდა მიწის ქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შესავალი ჰქონდა მხოლოდ ჭერიდან. შიგ ჩაჰყავდათ ნაყიდი ბავშვები, რომლებიც იქვე მუშაობდენ, იქვე იძინებდენ და სჭამდენ—დაზგებთან, მოკლებულნი მზეს, სინათლეს და განთავისუფლების ყოველგვარ საშუალებას. ხუთი წლის მუშაობის შემდეგ ბავშს ამოიყვანდენ ზევით და ჰყიდდენ სადმე მოშორებით.

ამ ფაქტმა თითქოს შეაძრწუნა ევროპელი და ამერიკელი ფილანტროპები, მაგრამ სინამდვილეში, რასაკვირველია, კეთილი ზრახვები როდი ამოძრავებდა ამ ხალხს, ქალალდით და კალმით როცა დადიოდენ ქარხნებში, არამედ მეტად საშიში ზრდა მუშათა დაბეჩავებისა და, რაც მთავარია, იაპონური ქარხნების კონკურენციის შერბილება, ამ იაფფასიანი ჩინელი მუშების ექსპლოატაციით გამოწვეული.

პეკინი—წვრილ ხელოსანთა და ფეიქართა ქალაქია. საფეიქრო მუშათა კავშირში ერთნაირი უფლებითა შესული დაქირავებულიც და დამქირავებელიც. მეპატრონე პირდაპირ ბატონია თავისი ქვეშევრდომი კოლექტივისა. ხალხით სავსე პეკინის ქუჩაზე მუდამ გაისმის ხმაური ჩაქუჩებისა, სალაშინების, ბზრიალა თუნუქის ფურცლების ირგვლივ მუშაობაა გაჩაღებული.

სადაც გინდა შეხვიდეთ, სამი თაობაა, მომუშავეთა სამი ფენა: მეპატრონე—იგივე ხელოსანი, მოხელეს თანაშემწე—ყმაწვილი კაცი და შეგირდების—ბავშების—გროვა.

აი, აგერ გვერდშიშველი ბიჭუკელა დამწუხრებული სახით მოათრევს რაღაც სიმძიმეს, მუცელი საშინლად გამობერვია.

ჭიშკართან ხუთიოდე გამვლელი შეჯგუფებულა რვა წლის ბავშის წინაშე, რომელიც მარჯვედ ქსოვს ქამარს. ის ერთსადაიმავე დროს მომუშავეცაა და ამ წარმოების ცოცხალი გამოფენაც.

სახელოსნოს ბნელ დარაბებთან ზის ერთი და შრომისაგან კბილები დაუხრჭენია. ხუთიოდე ნახევრადშიშველი ბავში ცეცხლის ირგვლივ დარბის და აჩაღებს მას საბერველებით. ცეცხლზე ჰყრია ტყვიის ფურცლები და კოლოფები. აქ ამზადებენ მინანქარში გადამდნარ ტყვიას „კლაუზონეს“.

სადღაც მირბის რიკშა, ის თითქმის ჩამალულია, მხოლოდ მოხრილი მკლავების ნიდაყვები ამოუჩრია. მიაქანებს ვიღაც ბავშიან დედაკაცს და ამ საქმეში ეხმარება მას პატარა ძმა, რომელიც ეტლიდან მისდევს ეტლს და წელს უმაგრებს მას.

აი კიდევ: ნოხის საქსოვი ფაბრიკა. ნოხებით მოფენილ და სავსე პირველ შესასვლელ ოთახში დგას მუცელგაბერილი ჩინელი. ის მეპატრონეა; ფაბრიკა შემდეგ ოთახშია.

ვიწრო და მტვრიანი სარკმლიდან სინათლე ოდნავ აშუქებს მას. მიწის იატაკი ნესტიანია და ბინძური, ჭერამდე მიწყობილია უშველებელი ჩარჩოები, რომელთა შორის მცირე მანძილებია. ჩარჩოები სავსეა ზევიდან ძირამდე ნოხის საქსოვი ძაფებით, რომელთა შორის სხედან წელში მოხრილი ბავშები. მათი თითები გამალებული დახტიან ძაფებზე, როგორც ჩონგურის დამკვრელის თითები სიმებზე. ნოხი ქსოვისაგან თანდათან იზრდება, ხშირად შესართავ მატყლს ცვლიან, სადაც ფერადებს აქარგავენ მასზე.

სიბნელისაგან ოთახში ძნელია კარგად გაარჩიო ერთმანეთში შექსოვილი ფერადები და ქარგები. ბავშები კი მუშაობენ მანქანებივით, ისე რომ თითების შეჩერებასაც ველარ შესძლებენ, მუშაობენ და ოდნავ ირხევიან ტანით. დღეში მუშაობენ 12 საათს, სანამ სინათლე ეყოფათ. თვეში იღებენ მანეთს და ეს ითვლება კარგ ხელფასად. მრავალი შეგირდი არაფერს არ იღებს საჭმელისა და ცემა-ტყეპის გარდა.

სძინავთ ამ ბავშებს (ნოხის მქსოველებს) იქვე მიწაზე, საცა მუშაობენ, მატყლისა და ქსოვილების მტვერში. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჩინელი მუშაობს ყოველდღე მთელი წლის განმავლობაში, და არა ისე, როგორც ჩვენ, კვირაში ერთ დღეს რომ ვისვენებთ. ისვენებენ წელიწადში რამდენიმე დღეს—ახალი წლის და კიდევ ორიოდე დღესასწაულის დროს. ამას კი მრავალი ვერ იტანს, უძლურდება, სნეულდება და კვდება. ვინც კი აიტანს, მრავალი წლის მუშაობის შემდეგ თვითონ ხდება ხელოსანი და შეიძლება ოდესმე მეპატრონეც კი გახდეს. ამ უკანასკნელი იმედით გატაცებული მამები თვითონ აბარებენ თავის შვილებს შეგირდებად, მაგრამ უკანასკნელ დროს ამის გავლენაც იკარგება, რადგან თვით ხელოსანთა წარმოება თანდათან იჩრდილება ფაბრიკის წარმოებით, რის გამო ისინი მრავლად კოტრდებიან და ილუპებიან. ოცნება კი ფაბრიკის მეპატრონეობაზე ძნელია, როცა ის ასე დიდ ბოროტებას იწვევს და ასე ამრავლებს უბედურთა რიცხვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერეგის სამხედრო ლაშქრობა ზუგდიდში.

ომის საშიშროებასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის პიონერთა ორგანიზაციის წინ ისმება საკითხი მშრომელი ახალგაზრდობის გასამხედროების შესახებ. როდესაც ზუგდიდის სამაზრო ბიურომ კოლექტივის საბჭოსთან ერთად გადასწყვიტა მოეწყო პიონერებისათვის სამხედრო ლაშქრობა, პიონერებში ამ აზრმა არაჩვეულებრივი სიხარული გამოიწვია. სამაზრო ბიუროს მიერ მოწვეულ იქნა თათბირი პიონერ-მომუშავეების, 9-წლედის, 4 წ. და 7-წლედის სკოლის გამგეების, სადაც მოსმენილ იქნა საუბარი სამ-ბიუროს თავმჯდომარის მიერ სამხედრო ლაშქრობის მოწყობის შესახებ, სკოლის გამგეები და განათლების განყოფილება დიდი სიამოვნებით შეხვდენ სამხედრო ლაშქრობის მოწყობის საქმეს, სხდომაზე გამოყოფილ იქნა ლაშქრობის მომწყობი კომისია, კომისიის მიერ შედგენილ იქნა ლაშქრობის გეგმა და გადაწყდა საჭირო იარაღების შეძენა; ამ უკანასკნელის შეძენაში დიდი დახმარება გაგვიწია 9-წლედის სახელოსნოს მასწავლებელმა ამხ. ა. **ჯანაშიამ**, რომელმაც გაუწია ხელმძღვანელობა პიონერებს. შეკეთებულ იქნა ორი ხის ზარბაზანი, რომელიც ისვრის 12-კალიბრიან ვაზნებს, „ლუისის“ სისტემის 4 ტყვიამფრქვევი და აგრეთვე სხვა იარაღები. კომისიის დადგენილებით, ლაშქრობა მოეწყო პიონერთა ორგანიზაციის 5 წლის იუბილეის დღეს. ამ მიზნით მოწვეულ იქნა ზუგდიდის რაიონში შემავალ პიონერ-მომუშავეთა თათბირი, სადაც დამუშავებულ იქნა საკითხი ლაშქრობის მოწყობის შესახებ და კოლექტივებს მიეცათ დავალებანი ლაშქრობის დღისათვის.

ქალაქის კოლექტივებში ჩატარებულ იქნა კოლექტივის ხელმძღვანელის მიერ საუბარი სამხედრო ლაშქრობის მნიშვნელობის შესახებ, პიონერების ლაშქრობის მოწყობის შესახებ. პიონერებს სურდათ ყველანი მომხვდარიყვნენ წითლების ბანაკში. მაგრამ ახსნა-განმარტების შემდეგ ასეთ სურვილს პიონერებს შორის ბოლო მოეღო. რომლებსაც არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ მძიმე ლაშქრობაში, დაევალათ შეეკეთებიათ შვილდ-ისრები ლაშქრობის დღისათვის. ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა ქალაქის 6 კოლექტივი 290 წევრით. მოლაშქრენი გაიყვენ ორ ბანაკად—წითლების და თეთრების ბანაკად. საომარი იარაღები განაწილებულ იქნა თანასწორად, ხოლო თითოეული ბანაკი გაიყო შემდეგ ნაწილებად: 1) მზვერავთა რაზმი, 2) ავიო-რაზმი, 3) საკავშირო რაზმი, 4) ტყვიამფრქვევთა რაზმი 5) საარტილერიო რაზმი და 6) მოწყალების დების რაზმი (სანიტარული). თითოეულ რაზმს ჰყავდა გამოყოფილი უფროსი, რომლის განკარგულებაა თითოეული მოლაშქრისათვის სავალდებულო იყო. წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებდა ლაშქრობის მომწყობი კომისია კ. კავშირის სამხედრო წრის ხელმძღვანელის დახმარებით. ლაშქრობის ჩასატარებლად შეძენილ იქნა 400 ცალი „პუგაჩის“ ტყვია, 200 ცალი 12-კალიბრიანი ვაზნა და სხვა. წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას მოლაშქრენი ესწრებოდენ უკლებლივ და მეცადინეობაზე მოდიოდენ ნახევარი საათით ადრე.

26 ნოემბრის დილის 10 საათზე პიონერები და სამხედრო მოლაშქრენი თავს იყრიან ფიზკულტურის შენობაში და ემზადებიან სამხედრო მანევრებისათვის. მოლაშქრეთა რაზმები გაფაციცებით უვლიან თავის იარაღებს და ემზადებიან სამხედრო მანევრებისათვის, მაგრამ სანიტარული რაზმი იგვიანებს, რადგან ისინი გაემგზავრენ საავადმყოფოში სხვადასხვა საჭირო ნივთების შესაძენად. უკვე $11^1/_2$ საათია. გამოჩნდა სანიტარული რაზმი. მოლაშქრენი მათ გამოჩენას ვაშას ძახილით შეხვდენ. მოლაშქრეთა ყველა ნაწილი მზად არის, მოლაშქრენი გაყოფილი არიან ორ ბანაკად: თეთრების და წითლების. გამგზავრების წინ მოლაშქრეებს ესალმებიან სამხედრო ლაშქრობის მომწყობი კომისიის წევრები, რის შემდეგ მოლაშქრენი თავისი დროშებით და იარაღებით მიემგზავრებიან პირველი მაისის მოედანზე, ქალაქის მთავარი ქუჩების გავლით. შემდეგ ეწყობა ორ ბანაკს შორის შეტაკება წითლების შემოტევით და თეთრების მიერ მათი მოგერიებით. ბრძოლა გრძელდება ორ საათს. მთელი წარმოებული პროცესის მსვლელობის დროს ავიონაწილები უშვებენ ფრანებს და თვითმფრინავების მოდელებს მოწინააღმდეგეთა ბანაკისაკენ. შეტაკება თავდება წითლების გამარჯვებით. თეთრების კოშკზე აფრიალდება წითელი დროშა, რის შემდეგ მწკრივებად მიემგზავრებიან ფიზკულტურის შენობისაკენ ქალაქის მთავარი ქუჩებით. განმეორებითი ლაშქრობა უნდა მოწყობილიყო 27 ნოემბრისათვის, მაგრამ ცუდმა ამინდმა შეგვიშალა ხელი.

პიონერი გ. კედია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერ-ორგანიზაციის შემოწმება.

რა გავაკეთეთ თვენახევრის განმავლობაში.

ტფილისი, მეორე რაიონის მე-18 კოლექტივი.

წრევანდელი მუშაობა, შარშანდელთან შედარებით, კარგად მიმდინარეობს. შარშან კოლექტივის ხელმძღვანელს მთელი საათობით უხდებოდა ლაპარაკი დისციპლინის შესახებ და მთელი წლის განმავლობაში ამისთანა ლაპარაკმა არავითარი ნაყოფი არ მოიტანა. შარშან არ გვქონდა საკუთარი შენობა, არც გვქონდა კუთხეები, მაგრამ წელს ეს ყველაფერი გამოსწორდა. ხელმძღვანელს აღარ უხდება დისციპლინის შესახებ ლაპარაკი და ახლა მთელ მუშაობას კოლექტივის წინსვლას ანდომებს. ახლა კოლექტივში შეგვიძლია შევნიშნოთ ესა თუ ის კუთხე, გვყავს ხუთი რგოლი პიონერების და ორიც ოქტომბრელების.

ხელს ექსკურსიით ვიყავით კახეთში, რამაც კარგი შედეგი მოგვცა: ექსკურსიამ როგორც პიონერები, ისე სკოლის ბავშვებიც მოიზიდა კოლექტივში. ამან შესაძლებლობა მოგვცა, რომ პიონერები ჩავაბათ მუშაობაში, მივცეთ დავალებანი და სხვა ამისთანები. გვაქვს კედლის გაზეთი, ყოველთვიური. აგრეთვე დავაარსეთ ავიაქიმის უჯრედი, რომელშიაც ირიცხება 27 წევრი; გვინდა გავხსნათ ტირი და შევისწავლოთ სამხედრო საქმე.

ვ. მუნჯიშვილი.

ვან-სხლითის პიონერები

(შორაპნის მაზრა).

ერთი წელია, რაც სოფელ ვან-სხლითში ჩამოყალიბდა პიონერთა ორგანიზაცია. კოლექტივში ირიცხება 75 პიონერი. ამათში არის 25 ოქტომბრელი; 2 არის მოჯამაგირე.

პიონერებმა მიიღეს მონაწილეობა მარგვლის კამპანიის ჩატარებაში, არეთვე დაეხმარენ გლეხებს გზების შეკეთებაში. პიონერებმა ასწავლეს ორ ბავშს წერა-კითხვა, შეადგინეს სოფლის მოსავლიანობის დიაგრამები (ამ წლის). პიონერებმა შეადგინეს სტატისტიკა სოფლის მცხოვრებთა კომლის.

სისტემატიურად გამოდის ჩვენს კოლექტივში პიონერთა გაზეთი; გამოშვებულია სულ 13 ნომერი.

პიონერების მიერ მოწყობილი იყო ექსკურსია სამჯერ. დათვალიერებული იყო ქარხნები და ძველი ციხეები. მოწყობილი იყო აგრეთვე გაფრენა შვიდჯერ.

დაარსებულია პიკორთა წრე, რომელიც კარგ მუშაობას აწარმოებს.

ამ ხნის განმავლობაში პიონერების მიერ გაკეთებულია: თოხი, ნაჯახი, წერაქვი, ნამგალი, ჩაქუჩი და სხვა სამეურნეო იარაღები.

ა. ფერაძე

სამაგალითო კოლექტივი.

ქ. ბორჯომის საბავშო ბაღის კოლექტივი ერთ-ერთი სამაგალითოთაგანია მთელ რაიონში. პიონერთა რიცხვი საკმაოა და თითოეული წევრი აღჭურვილია პიონერული ცოდნით. გვაქვს კედლის გაზეთი, რომელიც სისტემატიურად გამოდის და აშუქებს კოლექტივის ცხოვრებას; რგოლების და კოლექტივის მეცადინეობას შეუწყვეტლად ვაწარმოებთ. გვაქვს საკმაო ლიტერატურა, ვატარებთ ფიზიკურ ვარჯიშობას და ვემზადებით დღესასწაულების ჩატარებისათვის. დიდ ყურადღებას გვაქცევს საარაიონო ნ. პ. ბიურო. ვუსურვებთ ჩვენს ხელმძღვანელებს შემდგომაც ასეთ ხელმძღვანელობას და კომუნისტური სულით ჩვენ აღზრდას.

პიკორი პავლე ბლიაძე.

ნ. პიონერების მუშაობა სოფელ აჭარაში.

(აფხაზეთი).

პიონერთა კოლექტივები იმდენად ახდენენ მასაზე გავლენას, რომ შეიჭრენ აფხაზეთის ყველაზე მივარდნილ კუთხეებში, თითქმის აფხაზურ სვანეთშიაც.

მისი ჩამოყალიბების დღიდან კოლექტივს აქვს ბევრი დადებითი მხარე თავის მუშაობაში, როგორც შინაარმზრდელობითი, ისე საზოგადოებრივ-პრაქტიკული.

დასაწყისში იყო ბევრი დაბრკოლება ადგილობრივ უჯრედთან პიონერ-კოლექტივის შესაქმნელად. ერთი მხრივ აფერხებდა საქმეს ის, ზოგიერთი პიონერი ძალზე მოშორებით ცხოვრობდა სკოლიდან, სადაც წარმოებს საკოლექტივო მუშაობანი, მეორე მხრივ—გლეხები არც ისე დიდის ნდობით უშვებდენ თავის ბავშებს, ვინაიდან ისინი დღესაც სავსე არიან ძველი ცრუმორწმუნეობით და მესამე—არ არის შეფი და წითელი კუთხე. მაგრამ ა. ლ. კ. კ. უჯრედის აქტიური მუშაობის და დახმარების მეოხებით ნ. პ. კოლექტივმა ნელ-ნელა დაახწია თავი დაბრკოლებებს. თუ დაარსების დროს მასში იყო მხოლოდ 13 პიონერი და არც ერთი გოგო, დღეს იქ 18 პიონერია და მათში სამი გოგო.

პიონერები შველიან გლეხობას მათ ყოველდღიურ მუშაობაში. ქოხ სამკითხველოში პიონერები ეხმარებიან მექოხეს ქოხის და სხვადასხვა კუთხის გამშვენიერებაში.

პიონერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევისწავლოთ კარგი სროლა.

თითოეულმა პიონერმა იცის, რომ საბჭოთა კავშირის გარშემო მდებარეობენ ბურჟუაზიული სახელმწიფოები. ისინი გამუდმებით იარაღდებიან და ახალი ომებისთვის ემზადებიან. მათი მიზანია აღადგინონ ჩვენში ბურჟუაზიული რეჟიმი. ასეთი ამბავი რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ჩვენი კავშირის გლეხებისა, მუშების და საერთოდ ყველას სათანადო მომზადება, მომზადება იმ მხრივ, რო თუ მართლა გაბედავენ და თავს დაგვესხმიან კაპიტალისტური სახელმწიფოები, ჩვენც მზად ვიყოთ მათ მოსაგერიებლად.

უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება ბევრი კარგი მსროლელი გვყავდეს. სროლის კარგად შესწავლას ბევრი დრო სჭირდება, წითელარმიელის სამსახურის ვადა კი მცირეა: ორი წლის განმავლობაში წითელარმიელს არ შეუძლია სამხედო საქმის ყოველმხრივ შესწავლა, ამიტომ სროლის საქმე უნდა ისწავლებოდეს წვევამდე და უნდა გრძელდებოდეს ჯარში სამსახურის გათავების შემდეგაც. სროლის შესწავლის საქმეს თუ ასე მოვაწყობთ, მაშინ წითელარმიელის მცირეხნოვანი სამსახური საქმეს სრულიად არ ავნებს და ნამდვილ სამსახურში კარგი მსროლელნი შეინარჩუნებენ ასეთ უნარს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სროლის საქმეს მშრომელი მოსახლეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თავდაცვის მხრივ: საბჭოთა კავშირში აუარებელი ტყე და მინდორია; მთელი ტერიტორია სავსეა ნადირებითა და გარეული ფრინველებით. ჩვენ ვიცით, ზოგიერთ ნადირს სასოფლო მეურნეობისათვის რა დიდი მავნებლობა მოაქვს.

ნადირის წყალობით მთელს კავშირში ყოველწლივ ათასობით იღუპება შინაური ცხოველები. თუ გვინდა ეს დამღუპველი გარემოება თავიდან ავიცილოთ, ამისათვის საჭიროა ჩვენმა გლეხობამ იცოდეს თოფის მოხმარება, ე. ი. კარგი სროლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რასაკვირველია, ნადირის გაფრთხობასაც კი ვერ შეძლებენ. ამავე დროს უნდა იცოდენ აგრეთვე, რომ მონადირეობას ადამიანისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. საბჭოთა კავშირის ტყეები და მათში მოხეტიალე აუარებელი ნადირი სიმდიდრის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ. საჭიროა მხოლოდ ამ სიმდიდრის წყაროს გამოყენება, რაც მხოლოდ კარგი სროლის საშუალებით მოხერხდება. ჩვენმა გლეხობამ ეს სიმდიდრე ჯერჯერობით ფართოდ ვერ გამოიყენა და შემოსავალის ამ საუკეთესო წყაროს უყურადღებოდ სტოვებს. მონადირეობისათვის ხელსაყრელ პირობებს განსაკუთრებით ზამთარი წარმოადგენს, რადგანაც მაშინ მტაცებელი ნადირები გამოდიან ბუნაგებიდან და სოფელს მიატანენ საკვების საშოვრად. ამ დროს სოფლის ზარალი დიდია ნადირებისაგან და მონადირეობას სწორედ ამ დროს ეძლევა დიდი მნიშვნელობა. ამჟამად საქართველოში არსებობს მონადირეთა კავშირი, რომელსაც ზემოხსენებული უბედურების აშორებაცა აქვს წესდების მიზნად. აუცილებელ პირობას წარმოადგენს ნადირობისთვის მარჯვე და სხარტი სროლა, ამას კი მივახწევთ სროლაში დახელოვნებით, რაიც შეიძლება მეცადინეობათა ჩატარებით. მაშასადამე, აქ შეიძლება დავსვათ საკითხი: საჭიროა თუ არა შევისწავლოთ კარგი სროლა? პასუხიც მარტივია: რასაკვირველია, საჭიროა. თუ დასახული მიზნის მიხწევა გვსურს, მაშინ უპირველესად ყოვლისა უნდა შევითვისოთ თოფის მოწყობილობა და მისი მოვლა-მოფრთხილება და საზრიანი მოხმარება.

ჩვენი შაშხანა (იხ. 1. ნახ.) ხუთი ვაზნით იტენება. სიმძიმე მისი ათ გირვანქა ნახევარზე ცოტათი მეტია. ტყვია შაშხანაში განსაკუთრებულ ხრახნილოვან ღარებში მისრიალებს, ამიტომაა რომ მას ეძახიან ხრახნილოვან შაშხანას. ამ ღარების გამო შაშხანას შეუძლია ტყვიის ოთხ ვერსამდე მიტანა, თუმცა საუკეთესო გასროლად ითვლება ექვსას ნაბიჯამდე. გამოცდილ მსროლელს უფრო შორ მანძილზეც შეუძლია ისროლოს, ოღონდ კი მიზანი თვალით დაინახებოდეს. შაშხანით საუკეთესო მსროლელს შეუძლია 10—12 ჯერ ზედი-ზედ მარჯვედ მოახვედროს. სამხაზოვანი შაშხანა ყოველთვის მზადაა მოქმედებისათვის.

საჭიროა ვიცოდეთ შაშხანას ნაწილები; შაშხანას აქვს შემდეგი ნაწილები:

ლულა, რომელიც ტყვიას მიზნისკენ მიჰმართავს. ამ ლულის შიგნით ხრახნილოვანი ღარებია, რომლის საშუალებით ტყვია შორს მიდის. ლულაზე მიხრახნილია **ლულის კოლოფა,** რომელშიც ჩახმახი იდება.

ამსხლეტ-საკავებელი მიმაგრებულია ლულის კოლოფაზე. მისი დანიშნულებაა ჯერის ვაზნა გამოაცალკეოს და გასროლილი მასრები გადმოაგდოს.

ვაზნკოლოფა მიმაგრებულია ლულის კოლოფზე; ვაზნკოლოფაში თავსდება მომწოდებელი მექანიზმი და აგრეთვე ოთხა ვაზნა (მეხუთე სავაზნეშია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხლეტას მექანიზმი აწარმოებს გასროლას. **კორა და ნიშანი**—მიზანში ამოსაღებადაა. **ჩახმახი** წასწევს ვაზნას, ჩაჰკეტავს ლულას გასროლის დროს, ააფეთქებს ფისტონს და ამოჰყრის ხოლმე მასრებს. მომწოდებელი მექანიზმი ამოსწევს ვაზნებს ვაზნკოლოფადან.

თოფის ხე და ლულის ზესადები შეაერთებს შაშხანის ნაწილებს და იფარავს მსროლელის ხელებს დაწვისაგან. ამათ გარდა მოიპოება: ხიშტი ჩხვლეტისათვის, ხელშესაწყო (ხრახნილები და სალტები), რომელიც ნაწილების შესამაგრებელია, და მოწყობილობა შაშხანის წმენდისთვის. ვისაც სურს შაშხანის დაწვრილებით გაცნობა, იმან უნდა ნახოს შაშხანა. ის დაინახავს, რა რისთვის არის, ყველაფერს დაათვალიერებს და ყველაფერს გასინჯავს.



ნახ. 1.

სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ შაშხანას, როდესაც აწყობასა და დაშლას ვაწარმოებთ, რომ შაშხანის რომელიმე ნაწილი არ გავაფუჭოთ. ყველაზე უფრო ხშირად ფუჭდება ხრახნილები. ხრახნილები უნდა მოვუშვათ რიგიანი საშალით. ფართო პირით უნდა მოვუშვათ დიდი ხრახნილები, მსხლეტას აშკის ხრახნილი, სადგნობის კუდის ხრახნილი: დანარჩენების მოშვება ვიწრო პირით შეიძლება.

საშალი უნდა გეჭიროსთ შეეულად და ხელისგულის რბილი ნაწილით მაგრად უნდა დააწვეთ მას. ხრახნილი უნდა ჩახრახნოთ ხოლმე უკუბჯენამდე (მთლად), მაგრამ თანაბრად და მსუბუქად. ამ დროს მძაფრ მოძრაობას უნდა გაურბოდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად შეიძლება ხრახნილზე და ბუდეში დანახრახნები წაამტვრიოთ.

შაშხანის დაშლა და აწყობა ყველაზე უკეთესია მაგიდაზე; მაგრამ ეს ყოველთვის მოსახერხებელი არაა; ომიანობისა და ნადირობის დროს ასეთი დაშლა და აწყობა ხშირად გვიხდება ხოლმე მინდორზე; ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გასაფენი რამ; **დაუშვებელია შაშხანის ნაწილების დადება მიწაზე.**

საერთოდ შაშხანის დაშლა წარმოებს შემდეგი წესრიგით: 1. მოიხსნება ხიშტი. 2. ამოიხრახნება და ამოიღება ზუმბა. 3. ამოიღება ჩახმახი და აქვე დაიშლება იგი. 4. მოიხსნება ლულის ზესადებელი. 5. ლულა მოშორდება თოფის ხეს. 6. ვაზნკოლოფას სახურავი მომწოდებელი მექანიზმიანად] განცალკევდება. 7. მსხლეტას მექანიზმი განცალკევდება და დაიშლება. შაშხანის სხვა ნაწილების დაშლა არაა საჭირო; მათი დაშლა თოფის სახელოსნოს საქმეა.

შაშხანის აწყობა ხდება წინაუკმო წესრიგით.

განსაკუთრებით სიფრთხილე გვმართებს ხიშტის ჩამოცმის დროს, რომ **შაშხანის ნიშანი არ დაზიანდეს** და არ გაფუჭდეს. მოუფრთხილებელი დარტყმით შეიძლება მისი დაძეწკვა ან მიწევ-მოწევა.

თოფის ხეზე სალტეებით მოჭერის დროს ყური უნდა ვუგდოთ, რომ ძალიან მაგრად არ მოეჭიროს, მაგრამ არც მათი ფარფალია დასაშვები. ყველაზე მეტ ყურადღებას მოითხოვს ჩახმახის აწყობა: თოფის ფეხის მიხრახნის დროს ნემსას სარტყმელა ხეს უნდა დაეყრდნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სარტყმელა მოიდრიკოს და შაშხანაც სროლისათვის გამოუსადეგარი გახდეს. ჩახმახის აწყობის შემდეგ სარტყმელას გამოწევა უნდა შემოწმდეს: იგი შეიძლება ნაკლები იყოს ან ბევრად მეტი. ორივე შემთხვევაში საჭიროა საშალის დახმარებით მისი ამონაკვეთების გამოყენებით სარტყმელი ჩაიხრახნოს, ან ამოიხრახნოს.

შ. ვასაძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები რადიოს შესახებ.

რადიოს მოყვარულ თითოეულ ბავშს დაებადებოდა ასეთი კითხვა:

„ვინაიდან დედამიწაზე არის ბევრი ათასი რადიოსადგური, მაშ როგორ ხდება, რომ იმათი მუშაობა არ აირევა ერთმანეთში?“

აგიხსნით, როგორ დაძლიეს ეს ძირითადი დაბრკოლება რადიოს მეცნიერმა მუშაკებმა.

როგორ მუშაობენ რადიოსადგურები ერთსადაიმავე დროს ერთმანეთში აურეველად?

სრულიად ბუნებრივია გაგიკვირდეთ ის, თუ როგორ შეიძლება მაშინ, როცა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას მუშაობს ასე ბევრი სადგური, მიიღო ცნობა აურეველი და მკაფიო, დაუყრუებელი სხვა ცნობების მიერ. თქვენ, რასაკვირველია, წარმოდგენილი გაქვთ, რომ უნდა მიიღოთ სრული გაურკვევლობა, იმისდაგვარი, რაც ხდება, როდესაც ოთახში რამოდენიმე კაცი ლაპარაკობს ერთსადაიმავე დროს. მაგრამ საქმე აქ სულ სხვაგვარადაა. გადამცემი რადიოსადგურების ძლიერ დიდ რიცხვს შეუძლია იმუშაოს ერთსადაიმავე დროს და, თუ გაქვთ მიმღები, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ცნობა რომელიმე ერთ-ერთი სადგურიდან თქვენივე არჩევით, სრულიად დაუბრკოლებლად სხვების მხრივ.

რა გზით ვარჩევთ ერთ რადიოსადგურს მეორესაგან? გიპასუხებთ: მის მიერ ხმარებულ ტალღათა სიგრძით. სადგურთა თითოეულ ჯგუფს მიკუთვნებული აქვს არა მარტო „გამოსაძახებელი“, არამედ, გარეშე ამისა, კიდევ განსაზღვრული სიგრძის ტალღაც, ე. ი., სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა ცნობა, გაგზავნილი მონაცემი სადგურიდან, გადაიცემა სპეციალურად მისთვის განსაზღვრული სიგრძის ტალღებით. გემების ყველა სადგურს მითვისებული აქვს ერთნაირი—600 მეტრის სიგრძის—ტალღები. ნაპირების რადიოსადგურები, რომლებთანაც ხშირი ურთიერთობა აქვთ გემებს, ანუ „ემუშავებიან“ მათ, აგზავნიან აგრეთვე 600 მეტრის სიგრძის ტალღებს. სამოქალაქო ავიაციის რადიოსადგურები ჩვეულებრივად სარგებლობენ 900-მეტრიანი ტალღებით, და ჰაეროპლანები, რომლებიც აკეთებენ სწორ რეისებს რეგულიარული საჰაერო გზებით, ხმარობენ აგრეთვე 900-მეტრიან ტალღებს. ამინდის შესახებ ბიულეტენების გამგზავნი საჰაერო უწყების დედამიწაზე მყოფი სადგურები ხმარობენ 1.500-მეტრიან ტალღებს. პარიზსა და ლონდონს შორის სწორი ურთიერთობის მქონე რადიოსადგურები ყოველთვის ხმარობენ 3.800-მეტრიან ტალღებს. ამერიკასთან მომუშავე გერმანიის რადიოსადგური ბერლინში სარგებლობს 12.000-მეტრიანი ტალღებით და, ბოლოს, ქვეყნიერების სხვადასხვა ნაწილებთან მომუშავე დიდი ფრანგული სადგური ბორდოში სარგებლობს 23.000 მეტრის სიგრძის ტალღებით.

ეს მხოლოდ შემთხვევით აღებული ადგილებია, მაგრამ თითოეული დიდრონი რადიოსადგურისთვის, ან თითოეული ერთმანეთთან მომუშავე წყვილი სადგურებისთვის საერთო წესადაა მიღებული, ყველა სხვებისაგან განსხვავებული, განსაზღვრული სიგრძის ტალღების ხმარება.

სხვათა შორის, გემების სადგურებზე მიღებულია ერთნაირი სიგრძის ტალღის ხმარება. ფართედმაუწყებელი სადგურები, რომელთა გადაცემაც თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ თქვენსავე სახლში, მუშაობენ დაბალი სიგრძის ტალღებზე და ისინი სხვა ტალღებში არ ირევიან.

მიმღებ რადიოსადგურში მყოფ კაცს შეუძლია მოაწყოს თავისი წყოსი იმგვარად, რომ მას შეეძლება ერთი განსაზღვრული სიგრძის ტალღების რადიო-ნიშნების შეგრძნება; ამგვარ მოხელოვნებას წყოსისა ტალღების განსაზღვრულ სიგრძესთან „აწყობა“ ეწოდება.

თუ თქვენ გსურთ მიიღოთ ფართედმაუწყებელის ცნობა, მაშინ თქვენ უნდა მომართოთ თქვენი ხელსაწყო ტალღების იმ სიგრძეზე, რომლიდანაც ფართედმაუწყებელი სადგური ჰგზავნის თავის ამბებს.

თუ, მეორეს მხრივ, თქვენ გინდათ მიიღოთ რადიო-ტელეგრაფის ცნობები, რომლებსაც გემები უგზავნიან ერთიმეორეს ან სანაპირო რადიოსადგურებს, მაშინ თქვენ მოგიხდებათ თქვენი წყოსის მომართვა 600 მეტრის სიგრძის ტალღაზე და თუ კი ერთხელ წყოსი აწყობილია თქვენ მიერ არჩეული ტალღის სიგრძეზე, მაშინ ყველა სხვა სიგრძის ტალღები ჩაუვლიან გვერდს თქვენს რადიოსადგურს თქვენს მიღებაზე რაიმე მოქმედების მოუხდენელად.

აქ, სხვათა შორის, საჭიროა განვმარტოთ ერთი რამ: გამორკვეულია, რომ არ არის არავითარი შესაძლებლობა მივახწიოთ იმას, რომ რადიომიმღები შეიგრძნობდეს (იღებდეს) მხოლოდ მეტად განსაზღვრულ ერთი სიგრძის ტალღას. საქმის ახლანდელი მდგომარეობის გამო სადგური, აწყობილი 450 მეტრის სიგრძის ტალღებზე, მიიღებს აგრეთვე რადიონიშნებს, რომლის ტალღის სიგრძე რამოდენიმედ მეტი ან ნაკლებია 450 მეტრზე. ასე, მაგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითად, თუ გადამცემი სადგური მუშაობს 445 მეტრიან ტალღებზე, მაშინ მოსალოდნელია, რომ ამისი ნიშნები შეიგრძნობიან აგრეთვე თქვენ მიერაც.

ძირითადი აზრით, მომართვა რადიონიშნებისთვის შეგვიძლია შევადაროთ ნიშნების ჰაერით გაგზავნას სასტვენის საშუალებით.

თუ თქვენ გადასცემთ ცნობას მორზეს კოდზე მაღალი ხმის მიმცემი სასტვენით, მაშინ მიიღებიან ბგერათა მოკლე ტალღები: თუ ცნობა იცემა დაბალი ხმის სასტვენით, მაშინ მიიღებიან უფრო გრძელტალღებიანი ბგერები.

თუ ორი კაცი გაძლევსთ ნიშნებს ერთსადაიმავე დროს, რის დროსაც ბგერა სასტვენისა ერთს აქვს მაღალი, მეორეს კი დაბალი, მაშინ, ეჭვს გარეშეა, თქვენ შესძლებთ შეიგრძნოთ მორზეს ნიშნები ერთისაგანაც და მეორესაგანაც, ერთიმეორეში აურევლად. ადამიანის ყური არ შეიძლება მოიმართოს ერთი რომელიმე განსაზღვრული ხმის სიმაღლეზე, რადიომიმღები კი შეიძლება მომართოთ ისე, რომ მან მიიღოს ნიშნები მხოლოდ გრძელი ტალღებით და ამავე დროს სრულიად არ მიაქციოს ყურადღება მეორე სადგურის მოკლე ტალღებს.

სინათლის სხივებთან რადიოს შედარებით ვხედავთ, რომ უკანასკნელ შემთხვევაში ცნობები, გადაცემული სოსანი (იისფერი) ფერის საშუალებით, შესაძლებელია გავარჩიოთ წითელი ფერით გადაცემულისაგან. ადამიანის თვალს შეუძლია შეიგრძნოს ამ სხვადასხვა ფერით შეღებილი სინათლის სიგრძე და სხვაობა, რადიოში კი ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გავიგოთ არა მარტო განსხვავება ორ მომუშავე სადგურს შორის, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, ნამდვილად შეგვიძლია ავაწყოთ, ან მოვახელოვნოთ ჩვენი აპარატი ისე, რომ იმან მიიღოს ნიშნები მხოლოდ ერთი სადგურიდან, მეორის სრულიად გამოკლებით. ტალღების განსაზღვრულ სიგრძეზე მოსამართი ხელსაწყოს აღწერილობა მოთავსებულია ქვემოთ, ჯერ კი საკმაოა შევნიშნოთ, რომ შესაძლებელია ერთსადაიმავე დროს ვამუშაოთ სადგურთა დიდი რიცხვი, და ისინი არ შეუშლიან ხელს ერთიმეორეს, თუ ცნობების გადასაცემად თითოეულ მათგანს მივათვისებთ საკუთრივ განსაზღვრული სიგრძის ტალღებს, მიღებ სადგურზე კი გვექნება წყოსი, რომელიც შესაძლებელია მოიმართოს განსაზღვრული სასურველი სიგრძის ტალღების მისაღებად.

სრულიად უბრალო წყოსი იქნება შემგრძნები ელექტრომაგნიტული ტალღებისა, რომელთა სიგრძეც ირხევა, ვთქვათ, 300-დან 600 მეტრის ფარგლებში; რამდენიმედ უფრო რთული და ძვირფასი წყოსი მოგცემთ თქვენ საშუალებას მიიღოთ ტალღები 300 დან 10.000 მეტრამდე. ბოლოს, კიდევ უფრო გაუმჯობესებული წყოსი შეგაძლებინებსთ მიიღოთ რადიო-პრაქტიკაში [illegible] ებული ნებისმიერი სიგრძის ტალღები, ე. ი. [illegible]ნალად რომ ვთქვათ, 200-დან 25.000 მეტრამდე.

ტფილისი

რადიომიმღების განსაზღვრული სიგრძის ტალღებზე მომართვა შეიძლება შევადაროთ როიალის, ან სკრიპკის სიმების აწყობას.

როდესაც თქვენ აწყობთ როიალის სიმებს, თქვენ გაქვთ ნიმუში შედარებისთვის, ჩვეულებრივ — ეგრეთწოდებული კამერტონი. როიალის სიმზე დარტყმით ის გამოსცემს ამა თუ იმ ბგერას, მავთულის სიგრძისა და სისქის და აგრეთვე მისი გაჭიმვის მიხედვით. სხვა სიტყვებით, ჩვენ შეგვიძლია როიალის სიმები მოვმართოთ ისე, რომ ის გვაძლევდეს განსაზღვრული სიგრძის ბგერათა ტალღებს.

მსგავსად ამისა, შეგვიძლია მოვმართოთ გადამცემი რადიოსადგური განსაზღვრული სიგრძის ტალღის გასაგზავნად და აგრეთვე ჩვენი რადიომიმღებიც — განსაზღვრული, სასურველი სიგრძის ტალღის ნიშნების მისაღებად.

შესაძლებელია მოვახდინოთ აწყობის მეტად საინტერესო ცდა, წინასწარ სხვადასხვა ხმაზე აწყობილ 4 ან 3 კამერტონის ერთ ხაზზე დადგმით. თუ ახლა ჩვენ შევეხებით რითმე რიგში დადგმული ერთ-ერთი კამერტონის ხმის სიმაღლეზე დაყენებულ რომელიმე სხვა კამერტონს, მაშინ თითოეული მათგანისთვის ყურის დაგდებით შევამჩნევთ, რომ კანკალებს და გამოსცემს სუსტ ხმას მხოლოდ ერთი კამერტონი, აწყობილი იმ კამერტონის ხმაზე, რომელსაც შევეხეთ. ამ მბგერავ კამერტონს პირდაპირი შემოკვრა არ განუცდია, მაგრამ იმ კამერტონის ბგერის ტალღები, რომელსაც შემოვკარით, სხვა კამერტონების მახლობლად გავლის დროს აიძულებენ იკანკალოს მხოლოდ ერთმა მათგანმა, მონაცემ ხმაზე აწყობილმა.

ამის მსგავსი სურათი გვაქვს ჩვენ რადიოშიც. წარმოვიდგინოთ, რომ ფართედმაუწყებელი სადგური ჰგზავნის 400 მეტრის სიგრძის ტალღებს, მეზობლად მყოფი მოყვარულთა ოთხი სადგური კი იღებს ამავე დროს ცნობებს. ამ სადგურებიდან მხოლოდ ერთია აწყობილი ფართედმაუწყებელი სადგურის ტალღის სიგრძეზე, დანარჩენი სამი კი სათანადოდ არიან მოწყობილი ცნობათა მისაღებად ბერლინიდან, პარიზიდან და შოტლანდიიდან.

უკანასკნელი სამი სადგური სრულიად ვერაფერს ვერ მოისმენს იმ კონცერტიდან, რომელსაც იძლევა ფართედმაუწყებელი სადგური, მაშინ, როცა პირველი, სპეციალურად აწყობილი, მოისმენს მხოლოდ კონცერტს, მაგრამ ვერცერთი დიდი სადგურიდან ვერაფერს ვერ გაიგონებს.

ცხადია, რომ თუ რადიომოყვარულთა დიდ რიცხვს უნდა მიიღოს 400-მეტრიან ტალღებზე მიმდინარე რადიო-კონცერტი ან ლექცია, მაშინ ყველა მათგანს მიმღები წყოსები ზუსტად უნდა ჰქონდეს აწყობილი, რადგან სხვა მხრივ ისინი ვერ შეიგრძნებენ ნიშნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშოგანი.

რემედასი.

მოთამაშეთა რიცხვი — იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ალამია ფიცარზე: მაგალითად, თუ ერთი ფიცარია (ფანერკა) და მასზეა 8 ალამი, ორივე მხარეს (იქით-აქეთ) უნდა იყოს რვა-რვა მოთამაშე, თუ 16 ალამია—მოთამაშე იქნება 32.

სათამაშო ადგილი — მოედანი ან მოზრდილი დარბაზი.

თამაშის ხელსაწყოები. რამოდენიმე ფიცარი ან სქელი კარტონი, ერთი მეტრი კვადრატში, რომელსაც შავი საღებავით ყოფენ 8 ან 16 ნაწილად, ცალის პრტყელი მესერის მსგავსად. წითელი ალმების ჩასარჭობად თითოეული ოთხკუთხედის ცენტრში უნდა გაკეთდეს რგვალი ხვრელი, რომლის დიამეტრი ორი სანტიმეტრი უნდა იყოს.

ფიცრის დაფა შეიძლება რამოდენიმე იყოს. დაფას უნდა გაუკეთდეს დასადგამი ფეხები, $^1/_4$ მეტრის დაშორებით იატაკიდან.

დაბრკოლებას წარმოადგენს გაჭიმული თოკი, ოომელზედაც უნდა გადახტენ მოთამაშენი, ანდა მაგიდა, სკამი და სხვა რამ ნივთი.

მოთამაშეთა განაწილება. მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფიან, ერთი მათგანი წარმოადგენს კომუნისტურ პარტიას, მეორე კი ფაშისტებს.

ორივე ჯგუფი ეწყობა მოედნის ბოლოებში, 20—30 ნაბიჯის მანძილზე მოედნის ცენტრიდან, სადაც აწყვია პრტყელი ვიწრო ფიცრები ერთ სწორ ხაზზე, სამ-სამი ნაბიჯის დაშორებით ერთმანეთისაგან. ამ პრტყელ ფიცრებში, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, დასობილია წითელი ალმები.

ეს პრტყელი მესერი (ფიცრები), წარმოადგენს ციხეს, ხოლო წითელი ალმები კი მასში ჩამწყვდეულ რევოლუციონერებს.

თამაშობის მიზანი. კომუნისტებმა უნდა ისარგებლონ „ფაშისტების" უყურადღებობით და გაათავისუფლონ დატუსაღებული რევოლუციონერები.

თამაშის აღწერა. კომუნისტური პარტია გამოჰყოფს რაზმს, რომელიც იყოფა რევოლუციონურ სამეულებად (სამი კაცი ერთ ფიცარზე), დატუსაღებული კომუნისტების განთავისუფლების მიზნით. თავის მხრივ „ფაშისტებიც" გამოჰყოფენ ასეთსავე რიცხვს თავისი რიგებიდან, რომ ხელი შეუშალონ კომუნისტების განთავისუფლების საქმეში.

თითოეული კომუნისტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაათავისუფლოს დატუსაღებული ამხანაგები (ალამის წაღებით) და მოწყობილი დაბრკოლების გადალახვით (თოკზე გადახტება) მშვიდობით მიიტანოს ალამი თავის საზღვრამდე.

„ფაშისტის" ამოცანას შეადგენს კომუნისტების განთავისუფლების ხელის შეშლა და ალამის წაღების დროს წაძღების დადაღვა მის საზღვრამდე.

თამაში იწყება განკარგულებისთანავე, ანდა როდესაც კომუნისტები საზღვარს გადალახავენ და ცენტრისაკენ წამოვლენ, იმ წამსვე გამოყოფილი „ფაშისტებიც" წამოვლენ მოედნის ცენტრისაკენ, რომ შეუშალონ ხელი კომუნისტებს ამხანაგების განთავისუფლებაში. მაგრამ „ფაშისტებს" არა აქვთ უფლება შეეხონ კომუნისტებს, ვიდრე ეს უკანასკნელები არ შეეხებიან ფიცრებში ჩარჭობილ წითელ ალმებს. სწორედ ის გარემოება, რომ „ფაშისტებს" არა აქვთ უფლება შეეხონ კომუნისტებს, ვიდრე ისინი არ მოჰკიდებენ ხელს ალმებს, აძლევს კომუნისტებს საშუალებას მოატყუონ ხოლმე „ფაშისტები" და ისარგებლონ რა ამ პროცესით, სწრაფად მოაძრონ ალამი და გაიქცევენ თავისი საზღვრისაკენ. ალამის აღებამდე კომუნისტებს სრული უფლება აქვთ იმოძრაონ ისე, როგორც მოესურვებათ, და თავისი მოძრაობით შეცდომაში შეიყვანონ ხოლმე „ფაშისტები". კომუნისტების ყველა მოძრაობას უნდა მიჰბაძონ „ფაშისტებმაც". მაგალითად, კომუნისტმა გამოსწია ხელი ალმისაკენ და მიუახლოვდა მას, — „ფაშისტიც" მასვე მოიქმედებს. კომუნისტი ხელს თავზე დაიდებს—„ფაშისტიც" მასვე მიბაძავს.

კომუნისტს უფლება აქვს, თუ ხედავს, რომ ალმის მოტაცებას ვერ ახერხებს, ისევ გაიქცეს თავის ბანაკში, შეეხოს ხელით რომელიმე თავის ამხანაგს და დაბრუნდეს უკან. მაშინ მისი მოწინააღმდეგე ვალდებულია დაბრუნდეს „ფაშისტების" ბანაკში, ხელით შეეხოს თავის ამხანაგს და ისევ დაბრუნდეს, რომ ხელი შეუშალოს კომუნისტს ამხანაგის განთავისუფლებაში.

თუ კომუნისტმა მოახერხა ალმის ამოძრობა, დაბრკოლების გადალახვა (და შინ მშვიდობით დაბრუნება, მისი მოწინააღმდეგე „ფაშისტი" მიდის კომუნისტებთან ტყვედ.

პირიქით, თუ კომუნისტი განთავისუფლებული ამხანაგით (ალმით) დადაღა „ფაშისტმა", კომუნისტი ტყვედ წავა ფაშისტებთან, ხოლო წითელი ალამი ისევ ბრუნდება თავის ადგილზე.

ტყვედწაყვანილები თამაშში აღარ მონაწილეობენ და თამაში თავდება მაშინ, როდესაც ერთი ჯგუფი შესძლებს მეორის დატყვევებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1928 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწეროს

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელგამი (მესამე სართული). „პიონერი“-ს და „ნაპკადული“-ს რედაქცია.

ელსმენი—23—16

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—6/XII—27. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.

მთავარლიტი № 2125. შეკვ. № 253/2966. ტირაჟი 1000.